პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სალიტერატურო გაზეთი

ფასი 40 კაპ.

1933 წ. 24 აგვისტო | საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური გაზეთი | № 18 (44)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუნელებლად ვემზადოთ ყრილობისათვის

საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო ყრილობა გადაიდო მომავალი წლის მაისამდე.

საკავშირო ორგკომიტეტის ეს გადაწყვეტილება სავსებით მისაღებია საქ. საბჭოთა მწერლების ორგანიზაციისათვის.

აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა საკმაოდ მომზადებული ვერ ხვდებოდა მწერალთა საკავშირო ყრილობას. ის საკითხები, რომლებიც დგანან ყრილობის დღის წესრიგში, სათანადოთ არ ყოფილა დამუშავებული არა თუ ფართო მასებში, არამედ ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა წრეებში.

საქართველოს სალიტერატურო ორგანიზაციების მიერ წარმოებული ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა ვერ გაიშალა ისე, როგორც ამას მოითხოვს საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელიც, როგორც ამხ. სტეცკიმ განაცხადა ორგკომიტეტის უკანასკნელ თათბირზე, ხდება დიდი საზოგადოებრივი პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენად.

საკავშირო ყრილობის საზოგადოებრივი პოლიტიკური დანიშნულება გამომდინარეობს იმ ფუნქციიდან და როლიდან, რომელიც დაკისრებული აქვს საბჭოთა მწერალსა და საბჭოთა ლიტერატურას ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობაში. ბურჟუაზიული ლიტერატურისაგან განსხვავებით, საბჭოთა ლიტერატურა არის არა მოცლილი და უქმი ადამიანების თავშესაქცევი და გასართობი, არამედ ახალი სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი შემოქმედი, ახალი ქვეყნის მშენებელ ადამიანების კლასობრივად გამათვიცნობიერებელი, სოციალისტურად აღმზრდელი, მათი გარდამქმნელი, ერთი სიტყვით „ახალი ადამიანის სულისკვეთების ჩამომყალიბებელი“ ლიტერატურა. საბჭოთა მწერლობა არის მასიურ მოძრაობათა, მასების მისწრაფებათა ამსახველი, მასების მომსახურეობისათვის დანიშნული და გამიზნული მწერლობა. ასეთი ფართო საზოგადოებრივი დანიშნულების მქონე მწერლობა, მისი ყრილობა, რასაკვირველია, ვერ მოემწყვდევა ვიწრო ლიტერატურული მოძრაობის ჩარჩოებში, ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ლიტერატორთა ვიწრო წრეში ლიტერატურული პრობლემების დამუშავებით. სამწუხაროდ ეს მთელი სისრულით გარკვეული არ ჰქონდა საბჭოთა მწერლობის საგრძნობ ნაწილს, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების ფხიზელმა მეთვალყურემ დიდმა პროლეტარულმა მწერალმა და საზოგა[illegible]ღვაწემ მაქსიმ გორკიმ თავის ერთ-[illegible]უკანასკნელ წერილში.

[illegible] რომ ყრილობის სამზადისი ვერ მიმ[illegible]ობდა ისე, როგორც ამას საბჭოთა [illegible]ობის დიდი საზოგადოებრივი პოლიტიკური დანიშნულება მოითხოვს.

[illegible]ბიან. ძირითადი ნაკლი, რომელიც მაქსიმ გორკიმ აღნიშნა რუსეთის საბჭოთა მწერლობაში, უფრო შესამჩნევია საქართველოს საბჭოთა მწერლობის წრეებში. ჩვენ უფრო [illegible]ად ვართ, ვიდრე ჩვენი რუსი თანამოკალმეები, მომწყვდეული ვიწრო ლიტერატურულ მუშაობის ნაჭუჭში, რაც თავის [illegible] ასვამს ჩვენს მხატვრულ შემოქმედებას. ჩვენ დავკმაყოფილდით მხოლოდ იმით, რომ ყრილობის დღის წესრიგში დასმული საკითხები და ლიტერატურული პრობლემები განვიხილეთ და დავამუშავეთ მწერალთა თათბირებზე, ლიტერატორთა მცირერიცხოვან აქტივის კრებებზე. ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ საკმაო თაოსნობა და აქტივობა — ეს საკითხები დროზე გადაგვეტანა იმ მასების ფართო ფენებში, რომელთა ცხოვრებასა და გმირულ ბრძოლას მხატვრულად ასახავს ჩვენი საბჭოთა მწერლობა. ჩვენ მხოლოდ ეხლა გადავდგით პირველი პრაქტიკული ნაბიჯები უკანასკნელი წლების ლიტერატურული პროდუქციის სისტემატიური გარჩევა-განხილვის მოსაწესრიგებლად მუშა მკითხველთა კრებებზე, მოვაწყვეთ აგრეთვე მწერალთა რამოდენიმე უშუალო შეხვედრა მუშებთან, მაგრამ ჯერ არ მოგვიწყვია ბიბლიოთეკა სამკითხველოების მუშაკთა და მკითხველთა კონფერენციები, არ გაგვიმართავს მწერალთა საანგარიშო მოხსენებები მათი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ და სხვა. ამიტომ არა გვაქვს მკაფიო წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ აფასებენ ამა თუ იმ მხატვრულ ნაწარმოებს სწორედ ისინი, ვისთვისაც ეს ნაწარმოები იქმნება; საბჭოთა მწერალმა არ იცის, რა რეზონანსი აქვს მის მხატვრულ პროდუქციას, რა გავლენას ახდენს და რა აზრს გამოსთქვამს მასზე მუშა და კოლმეურნე მკითხველი. მწერალი ვერ სწავლობს მკითხველებისაგან, თუ რაზე და როგორ უნდა სწეროს, ვერ ღებულობს გაკვეთილს და სოციალურ დაკვეთას უშუალოდ თავისი მკითხველებისაგან—ნაწარმოების თემების შერჩევაში და მის მხატვრულ დამუშავებაში მწერალი მეტ წილად ემყარება სტიქიურ თვითმდინარებას და არა მკითხველ მასების შესწავლილ მოთხოვნილებებს. ასეთმა მდგომარეობამ შეიძლება მწიგნობრულ კარჩაკეტილობამდე მიიყვანოს და საბჭოთა ლიტერატურის გზას ააცდინოს ჩვენი მწერალი. საბჭოთა მწერლობის სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს რომ მკაფიოთ და გარკვევით გავითვალისწინოთ საფრთხე და გამოვიტანოთ აქედან პრაქტიკული დასკვნები.

საბჭოთა მწერალი უფრო მჭიდროთ, ორგანიულად უნდა დაუკავშირდეს იმ წრეს, რომლისგანაც იგი ღებულობს საზრდოს მხატვრული შემოქმედებისათვის. ეს კი გულისხმობს იმას, რომ მწერალი ხანგრძლივად მიმაგროს იმ საწარმოებს, და იქ მომუშავე მასებს, რომელთაც იგი ღებულობს თავისი ნაწარმოების ობიექტად. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ მწერალი ნამდვილად ეზიაროს სოციალიზმის მშენებელთა განცდებს, მათ სიხარულსა და ტკივილებს. მაგრამ მხატვ. ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ეს არ კმარა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს შეფასებას აძლევდენ თვით მკითხველი მასები. ამ მიზნით ჩვენ წესად უნდა შემოვიღოთ მკითხველთა კონფერენციების მოწვევა, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების მუშაკთა თათბირების და კოლმეურნეთა მასებთან სისტემატიურად საუბრების ჩატარება ლიტერატურის საკითხებზე და ცალკე მხატვრულ ნაწარმოებებზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეიქმნას მასებისათვის მისაღები და გასაგები დიდი სოციალისტური ლიტერატურა.

მაგრამ ამ ლიტერატურას შექმნიან არა მარტო ის მწერლები, რომლებიც ეხლა მუშაობენ, არამედ ჩვენი ფაბრიკა ქარხნების და საკოლმეურნეო ველების დამკვრელ ახალგაზრდობისაგან გამოსული ახალი ძალები, რომელთა შორის დღეს დიდი მისწრაფებაა—თვითონვე ასახონ მხატვრულად ის რასაც მათ განაცდევინებს ბრძოლა ახალი ქვეყნის შექმნისათვის. ჩვენმა მწერალთა კავშირმა მოაწყო სამაცადინო სალიტერატურო წრეები ახალგაზრდობის დასახმარებლად, მათი ლიტერატურული კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ ის რაც გაკეთდა, სრულიად დამაკმაყოფილებელი არ არის, და ჯერ კიდევ საჭიროა დიდი მუშაობა ამ საქმის იმ სიმაღლეზე დასაყენებლად, რომელზედაც ჩვენ ორგანიზაციას მიუთითა ჯერ კიდევ საკავშირო ორგკომიტეტის იანვრის პლენუმმა.

არასოდეს ისეთი ძლიერი არ ყოფილა მასების ინტერესი საბჭოთა ლიტერატურისადმი, როგორც დღეს. ამის მაჩვენებელია ქართული მხატვრული წიგნის დიდი ტირაჟი და ის აქტობა, რომელსაც მუშა მკითხველები, განსაკუთრებით ახალგაზრდები იჩენენ მხატვრული ნაწარმოების განხილვის დროს. ეს ფაქტი ხაზგასმით არის აღნიშნული საქ. კ.პ. (ბ-)ის ტფილისის კომიტეტის 14 აგვისტოს დადგენილებაში, რომელიც ავალებს ძირეულ პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებს უფრო მეტი ანგარიში გაუწიონ მასების გაზრდილ ლიტერატურულ მოთხოვნილებებს და მასების მხატვრულ ლიტერატურული მომსახურეობა ჩააყენონ უფრო გეგმიან, ორგანიზაციულ კალაპოტში. ტფილისის კომიტეტი მოითხოვს პარტიულ და პროფესიონალურ უჯრედებისაგან ამ საქმეში ჩააბან თავიანთი აქტივი; მწერალთა კავშირთან ერთად მოაწყონ მკითხველთა კონფერენციები, ბიბლიოთეკების მუშაკთა თათბირები, გააძლიერონ მწერალთა ყრილობის წინაშე დასმული საკითხების და ლიტერატურულ პრობლემების გაშუქება მრავალტირაჟიანებსა და კედლის გაზეთებში: ამ დადგენილებას მაგრად უნდა ჩაჭიდოს ხელი ჩვენმა ორგანიზაციამ და მწერალთა აქტივთან ერთად გააჩაღოს ბრძოლა მისი სრული რეალიზაციისათვის.

იმ გარემოებამ, რომ მწერალთა საკავშირო ყრილობა გადაიდო, არ უნდა შექმნას დემობილიზაციური განწყობილება. იგი გადაიდო სწორედ იმ მოსაზრებით, რომ მთელი საკავშირო მწერლობა შეხვდეს მას უფრო მომზადებული, რომ ყრილობა მართლაც დადგეს იმ მნიშვნელობის სიმაღლეზე, რომელიც მოიპოვა საბჭოთა ლიტერატურამ ჩვენი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, ის ფაქტი, რომ ყრილობის დღის წესრიგი გაფართოვდა, რომ მასში შეტანილ იქნა ახალი საკითხები,- კერძოთ მოხსენებები მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს მხატვრულ ლიტერატურის შესახებ, გვავალებს უფრო გავაღრმავოთ სამზადისი და ყრილობის მოსამზადებელი მუშაობა გავხადოთ მხატვრული ლიტერატურით ღრმად დაინტერესებულ ფართო მასების საქმედ.

არავითარ შემთხვევაში ჩვენ თავი არ უნდა დავიიმედოთ იმით, რომ ყრილობა ხანგრძლივი დროით არის გადადებული, რომ ჩვენს განკარგულებაში ჯერ კიდევ დიდი დროა, რომ ყველაფერს მოვასწრებთ, ეს დრო საკმარისი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ გავაცდენთ არც ერთ დღეს, თუ გეგმიანად მოვაწესრიგებთ ყველა აღძრულ საკითხების დამუშავებას როგორც ჩვენ ორგანიზაციაში, ისე მის გარეთ.

მხოლოდ ფართოდ გაშლილი შეუნელებელი მუშაობით მთელი წლის განმავლობაში,—შეგვიძლია უზრუნველვყოთ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ყრილობის წარმატება და იმ გაძლიერებულ ინტერესის დაკმაყოფილება, რომელსაც საბჭოთა მწერლობისა და მისი ყრილობისადმი იჩენენ მშრომელი მასები და მთელი მსოფლიოს მოწინავე კულტურული საზოგადოებრიობა.

მწერალთა საკავშირო ყრილობის პროგრამა
გაფართოებულია

15 აგვისტოს მოსკოვში შედგა ს.ს.რ.კ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამხ. სტეცკის და მაქსიმ გორკის მიერ მწერალთა ყრილობის მნიშვნელობასა და ამოცანებზე გაკეთებულ მოხსენებების და ამ მოხსენებების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ, საორგანიზაციო კომიტეტმა ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლუცია

„საბჭოთა ლიტერატურა საკ. კპ. (ბ)-ის ც. კ-ის 1932 წ. 23 აპრ. დადგენილების საფუძველზე მოიპოვა მნიშვნელოვანი მიღწევები: გამოქვეყნდა რამოდენიმე დიდი მხატვრული ნაწარმოები, გაიზარდა ლიტერატურის როლი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში მწერლობას შეემატენ ფაბრიკა-ქარხნებიდან, მაღაროებიდან და კოლმეურნეობებიდან გამოსული ახალგაზრდა მწერლების მრავალრიცხოვანი კადრები.

ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურის ზრდასთან ერთად, იზრდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხების ლიტერატურა. ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა, წარმოადგენს რა სოციალიზმის მშენებლობის იარაღს, თავისი იდეურ-მხატვრული დონის მიხედვით უკვე გახდა თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვან ლიტერატურად.

ამასთან ერთად გაიზარდა მუშათა კლასის და კოლმეურნე გლეხობის ფართო მასების მოთხოვნები და ინტერესი მხატვრულ ლიტერატურისადმი.

ამ გარემოებათა გამო საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობას ეძლევა უდიდესი მნიშვნელობა.

ამიტომ ს.ს.რ.კ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტს საჭიროთ მიაჩნია ყრილობის მუშაობის პროგრამის გაფართოება და ყრილობის უკეთესი მომზადებისათვის როგორც რ.ს.ფ.ს.რ.-ში ისე მოკავშირე რესპუბლიკებში, ყრილობის მოწვევის ვადის გადადება 1934 წლის მაისისათვის“.

ყრილობის პროგრამა

ორგკომიტეტი ამტკიცებს ყრილობის შემდეგ დღის წესრიგს:

1) საბჭოთა ლიტერატურა და მისი ამოცანები—მ. გორკი.

2) მსოფლიო ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა და საბჭოთა ლიტერატურის როლი მსოფლიო ლიტერატურაში.

3) მოხსენებები უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის, უზბეკისტანის, თურქმენისტანის, ტაჯიკისტანის და თათართა რესპუბლიკის მხატვრული ლიტერატურის შესახებ.

4) საბჭოთა დრამატურგიის საკითხები.

5) საბჭოთა პოეზია.

6) ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის შესახებ.

7) საბჭოთა მწერლების კავშირის წესდება.

ორგკომიტეტის შევსება

მიღებულია გადაწყვეტილება შევსებულ იქნას ს.ს.რ.კ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა შემდეგი ამხანაგებით: **ნოვიკოვ-პრიბოი, ტოლსტოი, გლადკოვი, იუდინი, შოლოხოვი, გორბუნოვი, ზაზუბრინი, შუხტოვი, დემიან ბედნი, ბელა ილეში და ბრუნო იასენსკი.**

საორგანიზაციო კომიტეტმა დააკმაყოფილა ამხ. **ი. მ. გრონსკის** თხოვნა ორგკომიტეტში მუშაობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

მქუხარე ტაშის ცემით მიღებულ იქმნა წინადადება ამხ. **მ. გორკის** ს.ს.რ.კ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

ოპერატიული მუშაობისათვის საორგანიზაციო კომიტეტში მოეწყო სამდივნო, რომელშიდაც შედიან: **ამხ. იუდინი, სტავსკი, მიკიტენკო, ფადეევი, კირპოტინი, ტიხონოვი და ვს. ივანოვი.**

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირში

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირში მუშათა სალიტერატურო—საკონსულტაციო კაბინეტი

1 სექტემბრიდან მწერალთა სასახლეში. გაიხსნება მუშა-მწერალთათვის სალიტერატურო-საკონსულტაციო კაბინეტი, რომელიც კონსულტაციას გაუწევს ახალ შემოქმედებითი კადრებს, აწარმოებს საწერო და ინდივიდუალურ მუშაობას დამწყებ მწერლებთან და მეთოდიურ საპროგრამო ხელმძღვანელობას გაუწევს მუშათა ლიტერატურულ წრეებს.

სრ. საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა კაბინეტის გამგედ დაამტკიცა მწერალი **ლეო ქიაჩელი**, ხოლო კონსულტანტებად ამხ. **ფრიდონ ნაროუშვილი** (პოეზიის დარგში) და **დემნა შენგელაია** პროზის დარგში.

თათბირი საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე

სრ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა სექტემბრის შუა რიცხვებში მოიწვიოს რესპუბლიკანური თათბირი, რომელმაც უნდა დაამუშაოს საბავშვო ლიტერატურის შემოქმედებითი საკითხები და აგრეთვე პრაქტიკული ღონისძიებანი მწერალთა ფართო ფენების მონაწილეობისათვის საბავშვო ლიტერატურის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლა.

თათბირის შედეგად მწერალთა კავშირთან ჩამოყალიბდება საბავშვო ლიტერატურის სექცია.

მწერლები სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა დაამუშავა საქ. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაკთა პროფკავშირის ც. გამგეობის მომართვა, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის წინა ნომერში.

სხდომამ დაავალა პრეზიდიუმს ხსენებულ პროფკავშირის გამგეობასთან შეთანხმებით შეარჩიოს მწერლები სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში მისავლინებლად და აგრეთვე აღძრას საკითხი საქართველოს მიწსახკომის წინაშე ამ ხაზით მუშაობის გასაშლელად საჭირო პირობების უზრუნველყოფის შესახებ.

რაიონებში ლიტერატურული მუშაობის გასაშლელად

კახეთის რაიონებში კოლმეურნე გლეხობის ლიტერატურული მომსახურებისათვის, სალიტერატურო წრეების ჩამოყალიბებლად და მოსავლის აღების კამპანიაში მონაწილეობისათვის კახეთში გაემგზავრა საბჭოთა მწერლების ბრიგადა **გ. ქუჩიშვილის, ალ. გომიაშვილის და გ. შატბერაშვილის** შემადგენლობით.

მწერალთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად

1 სექტემბრიდან მწერალთა სასახლეში გაიხსნება მწერალთა დახურული სასადილო. ამავე დროისათვის სასახლეში გაიხსნება მწერალთა ჯანმრთელობის პუნქტი რომლის მოწყობა და სათანადო პერსონალით უზრუნველყოფა იკისრა ქალაქის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებამ.

საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის ბიუროს 15 ივნისის დადგენილების რეალიზაციისათვის

22 აგვისტოს ტფილისის საბჭოს განათლების განყოფილებაში შედგა ტფილისის პოლიტგანმანათლებელ დაწესებულებათა მუშაკების თათბირი პარტიის ტფილისის კომიტეტის ბიუროს 15 ივნისის დადგენილების დასამუშავებლად მუშების სამსახურო ლიტერატურული მომსახურების შესახებ.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. **მაილიანმა**. ვრცელი მოხსენებით „მასიურ-სალიტერატურო მოძრაობის საკითხებზე“ გამოვიდა ამხ. **ბეს. ჟღენტი**.

თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ტფილისის პოლიტგანმანათლებლებში მასიურ-ლიტერატურული მუშაობის გაშლისათვის.

27 აგვისტოს საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება იწვევს ბიბლიოთეკის მუშაკთა და მუშა-მკითხველთა აქტივის საქალაქო კონფერენციას საბჭოთა მწერლების აქტივთან ერთად.

1. მდგომარეობა ლიტერატურულ ფრონტზე და მასიური ლიტერატურული მოძრაობის საკითხები (მწერალთა კავშირის მოხსენება).
2. საბიბლიოთეკო მუშაკთა ამოცანები მხატვრულ ლიტერატურის დარგში და მუშა-მკითხველთა ორგანიზაციის საკითხები (საქართველოს პროფსაბჭოს მოხსენება).

კონფერენციაზე გამოვლენ საბჭოთა მწერლები.

გალ. ტაბიძის საიუბილეო საღამო

13 აგვისტოს ვორონცოვის სახ. მუშათა კლუბში შედგა **გალაკტიონ ტაბიძის** საიუბილეო საღამო. მისალმებებით გამოვიდნენ კლუბის და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა წარმომადგენლები. საღამოში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა **გ. ქუჩიშვილმა, საფო მგელაძემ** და სხვ.

გ. ტაბიძის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა **ამხ. ბეს. ჟღენტმა.**

ახალი ჟურნალი

სექტემბრიდან ტფილისში იწყება ჟურნალის „ამიერ-კავკასიის ხალხთა ლიტერატურა და ხელოვნება“-ს გამოცემა. ჟურნალის მთავარი ამოცანაა ა.-კავკასიის ხალხთა შემოქმედებითი ძალების დაახლოვება და მათი პროდუქციის გაცნობა საბჭოთა კავშ. მოძმე რესპ. მკითხველისათვის.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: **გ. ტატულოვი** (პ. მგ. რედაქტორი), **ბეს. ჟღენტი** (პ.-მგ. მდივანი), **გ. მუშიშვილი, რუსტამი, გ. ტაბიძე** ჟურნალის პირველი ნომერი გამოვა 15 სექტემბერს.

ანდრე ჟიდი

ანდრე ჟიდი, თანამედროვე საფრანგეთის გამოჩენილი რომანისტი, ენერგიულად გაემიჯნა გახრწნილ ბურჟუაზიულ წრეებს. ანდრე ჟიდი ამჟამად საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარია რომენ როლანთან ერთად.

რა ახასიათებს ანდრე ჟიდის ექსტენსიურ გმირები ხშირად მათი თავგანწირვა ინდივიდუალისტური ამბოხების ხასიათს ატარებს. აქედან — რეფლექსია, უაქტობა და ნების სისუსტე. „ვატიკანის სარდაფების“ ერთ-ერთი გმირი, ლაფკადიო, ასეთი „უმიზეზო“ მოქმედების განსახიერებაა.

ანდრე ჟიდი როგორც სტილისტი შეუდარებელია. ის თავის ბელეტრისტულ ნაწერებში კლასიკურ სინათლეს აღწევს. განსაკუთრებით პეიზაჟების აღწერის მხრით მას თანამედროვე ფრანგულ პროზაში ბადალი არა ჰყავს. ანდრე ჟიდის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საინტერესო სამგზავრო დღიურები („მოგზაურობა კონგოს ნაპირებზე“ და სხვ.).

ანდრე ჟიდი თავიდანვე გრძნობდა ინდივიდუალიზმის რკალის სივიწროვეს. ის ეძებდა გამოსავალს ამ რკალიდან. „დღემდე მე ძალიან ფრთხილად ვცხოვრობდი!.. უნდა მეცხოვრა კანონს გარეშე, რომ მეგრძნო ახალი კანონი... ო, ხსნავ! ო, თავისუფლებავ!“ ამ ძახილმა ბოლოს თავისი გამოსავალი ჰპოვა რადიკალურ პროტესტში ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ.

ანდრე ჟიდმა მიიღო რევოლუცია, თუმცა ამ მიღებაში საკმაოდ დიდი დოზაა ინტელიგენტური რადიკალიზმის. ანდრე ჟიდის ამ საქციელმა ბურჟუაზიის გაავთრება გამოიწვია.

რუსულად ანდრე ჟიდის თხზულებანი გამოსცა გამომც. „აკადემია“-მ. ცალკე გამოსცა მისი „მოგზაურობა კონგოში“.

ამჟამად ევროპის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ანდრე ჟიდის წერილს შოპენზე. ეს წერილი (ითარგმნა რუსულად). მეტად საინტერესო დაკვირვებებს შეიცავს ცნობილი მუსიკოსის ქმნილებებზე.

ა. გ.

ნ. მიწიშვილი

საკავშირო ყრილობა და ნაციონალური მწერლობის საკითხები *)

უკანასკნელი [illegible]ის განმავლობაში, როგორც საკავ[illegible]ო, აგრეთვე რესპუბლიკანურ მასშტაბითაც დიდი სამზადისია მოსკოვში დანიშნულ საკავშირო მწერალთა ყრილობისათვის.

ეს კამპანია დღითი-დღე ფართოვდება, სალიტერატურო ორგანიზაციებსა და ვიწრო ლიტერატურულ პრესას ამ კამპანიაში ურთდება კომკავშირი, პროფკავშირები, ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები, მკითხველთა კონფერენციები; ყრილობის სამზადისი ხდება დიდ მასიურ მოვლენად და იგი მართლაც გადაიქცა მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მილიონიან მასების მსჯელობისა და მონაწილეობის საქმედ.

ყოველი მწერალი გულის ძგერითა და გასავსებ მღელვარებით უცქერის ამ უნახავ [illegible]ხარობას. მას ემატება სიამაყე, როცა ხედავს, თუ დღითი-დღე როგორ მწიფდება ახალგაზრდა საბჭოთა მწერლობა და ფასდება მას, რამდენად ორგანიული ხდება იგი საბჭოთა ქვეყნისათვის და სოციალიზმის ყოველ ჭეშმარიტ მშენებლისათვის და როგორ თანდათან სწორდება წელში თვით მწერალი და ნაბიჯი უმტკიცდება მას მუშათა კლასის რიგებში.

თუმცა ამ თავითვე ძნელი წარმოსადგენია ის გრანდიოზული ფორმები, რომელიც, ალბათ, მიეცემა პირველ საკავშირო ყრილობას მოსკოვში, მაგრამ ერთი აშკარაა:—ეს ყრილობა დარჩება, როგორც დიდი და განუმეორებელი თარიღი არა მარტო საბჭოთა მწერლობის განვითარების ისტორიაში.

ასეთი აზრი იქმნება დღეს ყრილობის ირგვლივ, ასეთია პარტიისა და ხელისუფლების შეხედულებანიც ამ საკითხზე და უკვე აღარ გვიკვირს, როცა, მიუხედავად დიდი წინასწარი მუშაობისა, მაინც გაისმის გარკვეული გაფრთხილება, რომ ყრილობა ჯერ კიდევ საკმაოდ არაა შემზადებული.

მე ვფიქრობ, რომ ეს ნაწილობრივ მართალია, ვინაიდან ყრილობის წესრიგში მოქცეული საკითხები, თუ პრესას დაუჯერებთ, არც თუ ნაციონალურ რესპუბლიკებში,—თვით რუსეთის ცენტრებშიაც არაა ჯეროვანად დამუშავებული.

მაგრამ თუ, გარდა ამისა, მხედველობაში მივიღებთ ნაციონალურ რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობის სპეციფიურ საკითხებს და ამ საკითხების ყრილობაზე განხილვის საჭიროებას, მაშინ შენიშვნა, რომ ყრილობისათვის ჩატარებული წინასწარი მუშაობა კიდევ არაა დამაკმაყოფილებელი — საფუძვლიანად უნდა ჩაითვალოს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ განხრით ჯერ თითქმის არაფერი თქმულა და მით უფრო —არ გაკეთებულა.

თუ მოვიგონებთ ა.-წ. მარტში რომ საკავშირო ყრილობის წესრიგი გამოქვეყნდა— საკითხი, რომელიც ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს, იქ არ იყო დასმული. მის შემდეგ შესაფერისად არც პრესაში აღძრულა იგი და არც ორგკომიტეტში.

არც ამხ. ფადეევი, საკავშირო ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ამბობს რაიმე გარკვეულს ნაციონალურ რესპუბლიკებში საბჭოთა მწერლობის საკითხების შესახებ თავის უკანასკნელ გამოსვლაში ივლისში შემდგარ ორგკომიტეტის სპეციალურ პლენუმზე.

ყოველ შემთხვევაში გაზეთების ანგარიშიდან ეს არ ჩანს.

შეიძლება აქ სთქვან, რომ თუ კი მართლაც და საკითხი არსად სდგას, ცხადია არც მსჯელობა და კამათი გაიმართებოდა მის შესახებ.

ამაზე ვიტყოდით, რომ ეს საკითხი უნდა იდგეს ყრილობის დღის წესრიგში და კიდევაც ფორმალურად ის რომ ყრილობის წესრიგში არ ითვლებოდეს, სულ ერთია, მის ირგვლივ იმ გვარივე წინასწარი მსჯელობაა საჭირო, როგორც სხვა, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელნიც ყრილობის წესრიგში არ შეუტანიათ, მაგრამ რომელთა შესახებ სწარმოებს გაცხოველებული მსჯელობა და კამათი.

მაგალითად, დღემდე ყრილობასთან დაკავშირებით დისკუსია სწარმოებს კადრების, დრამატურგიის, მცირე ფორმების, სოციალისტური რეალიზმის, მასიური მკითხველის, წესდების, მწერალთა ყოფაცხოვრების და სხვ. შესახებ. „ლიტერატურნაია გაზეტამ“ დაუთმო რამოდენიმე საინფორმაციო გვერდი ურალის, უკრაინის, ბელორუსიის მწერლობას, თუმცა, რასაკვირველია, ამ ლაკონიური მასალებიდან ხსენებულ მწერლობათა ვითარების შესახებ რაიმე გარკვეულ წარმოდგენის შემუშავება მეტად ძნელია.

საკავშირო ლიტერატურულ პრესაში ნაციონალურ საბჭოთა მწერლობის სპეციფიურ საკითხებზე ჯერ მსჯელობა არ გამოსულა და აღსანიშნავია, რომ არც ადგილობრივ, რესპუბლიკანურ პრესას შეუწუხებია თავი მაინც და მაინც ამ საკითხით.

ასე იყო აგვისტოს პირველ რიცხვებამდე, ხოლო მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტას“ 5 აგვისტოს ნომერში ჩვენ ვკითხულობთ, რომ საკავშირო ორგკომიტეტის პრეზიდიუმის ბიურომ დაამტკიცა ყრილობის მუშაობის რეგლამენტი, რომლის ძალითაც ორგკომიტეტის ძირითადი მოხსენება მოსმენილ იქნება ყრილობის პლენარულ სხდომებზე და იქვე გაიშლება კამათი ამ მოხსენებათა გარშემო, კამათი დანარჩენ მოხსენებათა ირგვლივ გადატანილ იქნება სხვადასხვა კომისიებში (დასახელებულია სულ ათი კომისია).

შემდეგ სწერია, რომ ყრილობის დროს მოწვეული იქნება თათბირების მთელი რიგი (?!) საბჭოთა კავშირში შემავალ ერების მწერლობათა შესახებ“.

აქედან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ თუმცა საკითხი საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებების ლიტერატურათა შესახებ ყრილობის წესრიგში არ დგას, —„ყრილობის დროს“ დაისმება. მაშასადამე უფლება გვაქვს აღვნიშნოთ, რომ იგი დაგვიანებითაა დასმული, ხოლო რა განხრითაა—ამას გავიგებთ მაშინ, როცა ყრილობის დროს სათანადო კომისიის თათბირი იქნება მოწვეული და როცა ეს თათბირი გაიხსნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ დროს, დაინტერესებული დელეგატები ჯეროვნად მომზადებული არ იქნებიან. და, ცხადია, ეს გარემოება გარკვეულ დაღს დააჩენს თვითეული მათგანის გამოსვლას.

ამ წინასწარი შენიშვნის შემდეგ, ანუ ამ შენიშვნების გამო, ზედმეტად აღარ მიმაჩნია ზოგიერთი მოსაზრება გამოვსთქვა ამ საკითხის ირგვლივ.

მაშასადამე, არაა უარსაყოფი დებულება, რომ ისეთ ავტორიტეტულ ადგილას, როგორიცაა მწერალთა საკავშირო პირველი ყრილობა, საკმაოდ ვრცლად იქნეს განხილული საკითხი, თუ რა სიძნელენი და რა ამოცანები სდგას სოციალიზმის დღევანდელ პერიოდში ნაციონალურ რესპუბლიკების ლიტერატურათა წინაშე, რასაკვირველია, პარალელურად იმ ზოგადი ამოცანებისა, რომელნიც საერთოდ საბჭოთა კავშირში შემავალ ყოველი ეროვნების საბჭოთა მწერლობისათვის.

ასეთი საჭიროება უეჭველად არსებობს, მით უმეტეს, რომ როგორც ზევით ვსთქვი, ამ განხრით ჯერ სერიოზულად რაიმე დისკუსია არ წარმოებულა.

ამის საჭიროებაზე ა.-წ. თებერვალში ითქვა ზოგი რამ ორგკომიტეტის მეორე პლენუმზე მოსკოვში და ეს შენიშვნები ორგკომიტეტის ხელმძღვანელებს არ ჩაუთვლია მაინც და მაინც დაუმსახურებლად.

მე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას ზოგიერთ საკითხებზე, რომელთა შესახებ სჯა—ბასი არ მიმაჩნია უმნიშვნელოდ.

1

მაგალითად, საკითხი ნაციონალური რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობის განვითარების თავისებური ტემპებისა.

დღეს, რუსეთის საბჭოთა მწერლობა წამყვანი ძალაა და საბჭოთა კავშირში შემავალ დანარჩენ ერების საბჭოთა მწერლობათათვის.

დღეს, რამდენადაც მოწინავე იდეების მთავარ ბუდედ საბჭ. კავშირი ითვლება და ეს იდეები, პირიქით, უცხოეთში გადის, ზედმეტია ევროპის ბურჟუაზიულ კულტურის გავლენაზე და მასთან კონტაქტზე ლაპარაკი.

საბჭოთა კავშირში შემავალ ნაციონალურ რესპუბლიკების ახალი მწერლობა სხვა გავლენას და ურთიერთობას მოწყვეტილი, ბუნებრივად განიცდის რუსეთის მოწინავე ლიტერატურის გავლენას, რამდენადაც მთელ თანამედროვე საბჭოთა მწერლობას ახალი გზა რუსეთის მწერლობის მიერ ეძლევა,

ნაციონალურ რესპუბლიკების ლიტერატურულ ძალებს, განსაკუთრებით ზოგიერთი რესპუბლიკებისას, საკუთარი სისუსტის გამო, ახალი თქმა ამ სფეროში, ან ნათქვამის თავისებურად გადახარშვა ჯერ კიდევ უძნელდებათ. ნაციონალურ რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობაში საქმე გვაქვს რუსული ნიმუშების, თარგად გადაქცევის ცალკე შემთხვევებთან.

2

ცნობილია რომ საბჭოთა სოციალისტური ლიტერატურა და ხელოვნება საერთოდ, იქმნება და კიდევაც უნდა იქმნებოდეს არა მარტო ერთი რომელიმე ერის კულტურულ ძალთა მიერ, არამედ ის უნდა იყვეს სინტეზი ყველა მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკათა ერების შემოქმედებითი მიღწევებისა.

უეჭველია, ამ ტენდენციით უნდა ვითარდებოდეს და ვითარდება თანამედროვე მწერლობა და ხელოვნება საბჭოთა კავშირში ამის კონკრეტულ ტენდენციებზედაც შეიძლებოდა ბევრი რამ თქმულიყო. მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ჯერ კიდევ ვერ გამომუშავებულა საკმაოდ დამაკმაყოფილებელი ფორმები საბჭოთა კავშირში შემავალ ერების საბჭოთა ლიტერატურათა დაახლოვებისა და ურთიერთზე სათანადო კულტურული გავლენის უზრუნველსაყოფად.

ჯერჯერობით ამ ხაზით ჩვენ უფრო დეკლარატიულ და სადემონსტრაციო ხასიათის ეპიზოდებთანა გვაქვს საქმე, ვიდრე ორგანიულ კავშირთან და საჭიროებით გამოწვეულ ფაქტთაან.

მაგალითად, ქართველ მწერალს შეუძლია დაასახელოს რამდენიმე უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, ან თურქი მწერალი. შეიძლება მოვიგონოთ ბურიატ-მონღოლეთის, ან ტაჯიკისტანის რომელიმე პოეტიც, მაგრამ ისინი ჩვენზე არავითარ შთაბეჭდილებას და მით უმეტეს გავლენას არ ახდენენ, რამდენადაც ჩვენ მათ ნაწერებს ვერ ვიცნობთ, ან ვიცნობთ სულ ზერელედ.

იგივე შეიძლება ითქვას თვითეულ დასახელებულ ერთა მწერლების მიერ ქართველ საბჭოთა მწერალთა შესახებაც.

თვითეული ეს ლიტერატურა ვითარდება ერთი გზით და იმ გვარად, როგორადაც საკუთარი ძალებით მოახერხებს იგი დღეს წამყვან რუსული მწერლობის შეგრძნობასა და ათვისებას.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ ერების ლიტერატურული კონტაქტი ჯერ კიდევ არაა საკმაოდ განხორციელებული. ვერ ვიცნობთ და თვალყურს ვერ ვადევნებთ ერთი მეორის პრესას, ერთი მეორის მხატვრულ, თუ სხვა გამოცემებს, რომელთა ნახვა და გაცნობა მხოლოდ მეტად მცირერიცხოვან სუსტ რუსულ თარგმანებითაა შესაძლებელი. არც სხვა სახის, თუნდაც ორგანიზაციული ხასიათის ინფორმაცია არსებობს ამ ეროვნებათა ლიტერატურულ ორგანიზაციათა შორის.

საკავშირო რუსულ ლიტერატურულ პრესაში კი, მაგალითად, ერთ თუნდაც საკმაოდ მაღალ ნიჭიერად დაწერილ წიგნის შესახებ, ზოგჯერ უფრო მეტი იწერება, ვიდრე რომელიმე ნაციონალური რესპუბლიკის საბჭოთა მწერლობაზე და ხელოვნებაზე.

ცხადია, ეს არ უწყობს ხელს მოკავშირე რესპუბლიკების ნაციონალურ საბჭოთა მწერლობის და კულტურულ ძალების ურთიერთო დაახლოებას, ურთიერთ გავლენას დიდ შემოქმედებითი ახალი იმპულსების, ახალი ფორმების, ახალი სოციალისტური მწერლობის კულტურის შექმნას.

ამ მდგომარეობას შეუძლია შექმნას ერთი ფეროვნების, ეპიგონობის, გაუპიროვნების საფრთხე.

3

ამ გარემოებათა ნიადაგზე უნივერსალურ ლოზუნგს—ნაციონალურ ფორმისა და სოციალისტურ შინაარსის შესახებ ლიტერატურის დარგში, უსუსტდება თავის ცხოველმყოფელი სიმახვილე და კონკრეტული შემოქმედებითი ამ ფორმულის ავსება მწერლობაში მეტად ძნელი ხდება. უნდა ითქვას, რომ ამ ლოზუნგისათვის ბრძოლა განსაკუთრებული სიმძიმით აწვება საბჭოთა კავშირში შემავალ ნაციონალურ რესპუბლიკების საბჭოთა ხელოვნებას და მწერლობას, ხოლო რამდენადაც დღემდე ამის შესახებ კონკრეტულ განმარტებითი კრიტიკა ლიტერატურის ხაზით არც რუსეთში და არც სხვა რესპუბლიკებში საკმაოდ ძლიერი არაა,—ამ ლოზუნგის შემოქმედებითი დაძლევის გზაზე მწერალი ხშირად ინტუიციას მიყვება.

ამ მიმართულებით ბრძოლაში მე საგულისხმოდ მიმაჩნია რუსთაველის თეატრის ცდები, მაგრამ ამ ლაბორატორიას ჯერ კიდევ არ შეუძლია სთქვას, რომ მან უკვე გაიარა წინასწარი ცდების და ბევრჯელ მარცხით დამთავრებული ძიების გზები ნაციონალური ფორმის და სოციალისტური შინაარსის ლოზუნგის არსებითად დაძლევის სფეროში.

უნდა შევნიშნოთ, რომ თავის მხრივ შინაარსის საკითხი დიდ გავლენას ახდენს ფორმის ხასიათზე და, რამდენადაც ამ შინაარსს სხვა ნაციონალური რესპუბლიკების ახალი საბჭოთა მწერლობა უმთავრესად რუსული ნიმუშების მიხედვით სწონის, ნაციონალური ფორმაც ხშირად ვერ პოულობს სათანადო გამოსახულებას.

4

მეტად მწვავედ სდგას კერძოდ საქართველოში ახალი კადრების გამოყვანის და უკვე მომქმედი აქტუალური მწერლობის თეორიული და პრაქტიკული კვალიფიკაციის გაუმჯობესების საკითხი.

მაგალითად, ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ფენები, განსაკუთრებით ახალი მწერლობის რიგებიდან, არაა დაუფლებული თანამედროვე ფართო განათლებას. სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირება ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ცოდნის ამაღლების და ნორმალური შრომის პირობების შექმნას ამ მწერალთათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ახალ კადრების შესახებ კი უნდა ითქვას, რომ ქართულ მწერლობაში ახალი ძალები დიდის ინტერვალებით და სიძნელით შემოდიან.

დასასრული იხ. მე-4 გვ.

---

*) დისკუსიის წესით.

ეთეეი
მხატვრუ

[illegible] გახუნებული „წმინდა გასტრონომია“, რა-

ყთათაძფლობელ ინტელიგენტებისა. ტურგენევი აღიარებდა, რომ მწერლის ამოცანას

მსხვერპლის გაღებისა და თავგანწირვისა.

ალი არსენიშვილი.

საბჭოთა კავშირის ავიაცია, თავდაცვა და ლიტერატურა

მძლავრი ავიაციის და საავიაციო მრეწველობის შექმნა საბჭოთა კავშირში მართლაც სახალხო საქმეთ იქცა, ამას ნათლათ მოწმობს თავდაცვა-ავიაქიმის რიგებში მოწყობილ საბჭოთა მასობრივ საავიაციო საზოგადოებრიობის ათი წლის ისტორია.

ფართო მასების ენთუზიაზმით სავსე დამოკიდებულება ავიაციისადმი, ტექნიკის ამ ურთულეს დარგისადმი, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ტექნიკურ რეკონსტრუქციაში, წარმოსადგენია მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების სათავეში დგას ყველაზე მოწინავე კლასი—პროლეტარიატი, კლასი, რომელიც გაბედულათ და ძლევამოსილად სპობს უვიცობის, ჩამორჩენილობის და სიბნელის ნაშთებს, კლასი, რომელიც აშენებს სოციალიზმს.

ფართო მასების,—მათ შორის წინად დაჩაგრულ ეროვნებათა მშრომელების ასეთი დამოკიდებულება ავიაციისადმი, რომელიც წარმოადგენს არა მარტო უდიდეს კულტურულ-ეკონომიური მნიშვნელობის ფაქტორს, არამედ ამასთანავე თამაშობს განსაკუთრებულ როლს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაში, წარმოსადგენია მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, სადაც ქვეყნის თავდაცვის საქმე იქცა მილიონთა საქმედ, რომლებიც შეგნებულათ და მტკიცე რწმენით იცავენ თაიანთ სოციალისტურ სამშობლოს.

ლი პირობები შექმნეს საბჭოთა ავიაციის შემდგომი განვითარებისათვის „ჩვენ არ გვქონდა საავიაციო მრეწველობა, ეხლა ჩვენ იგი გვაქვს“ **(სტალინი).**

საბჭოთა ავიაციის წინაშე იშლებიან უდიდესი კულტურულ-ეკონომიური პერსპექტივები, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში, სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობის ქვეყანაში.

ავიაცია ჩვენში—ეს როდია მარტო მიმოსვლის და კავშირგაბმულობის საშუალება. იგი სულ უფრო და უფრო იჭრება სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ სხვა დარგებში. ის იძლევა ჩრდილოეთის შესწავლის და მისი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების ახალ შესაძლებლობებს. მას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის საერთო კულტურის ამაღლებაში (საავიაციო აგიტესკადრილიები, სანიტარული ავიაცია და სხვ.).

სოციალიზმი, სპობს რა ყველა ზღუდეებს, რომლებიც შექმნა კაპიტალიზმა და რომლებიც აფერხებენ კულტურული ტექნიკის განვითარებას, ქმნის ახალ უსაზღვრო პერსპექტივებს თვით ავიაციის განვითარებისათვისაც.

მაგრამ ბრძოლა ავიაციისათვის არ განისაზღვრება მარტო ამით. ეს ამავე დროს არის ბრძოლა გაბედული, მამაცი საჰაერო მებრძოლისათვის, რომელიც სავსებით დაეუფლა ტექნიკას და რომელსაც შეუძლია მიაღწიოს მაქსიმალურ ეფექტს მის ექსპლოატაციაში.

ავიამოდელიზმი, პლენერიზმი, მსუბუქ მოტორიანი ავიაცია—ეს არის საფეხურები, რომელთა საშუალებით მშრომელთა ფართო მასები, პირველ რიგში ჩვენი კომკავშირული ახალგაზრდობის მასები, უნდა ეზიარონ საავიაციო ტექნიკას.

ავიღოთ ავიამოდელიზმი. მისდამი დღემდე ვამჩნევთ წინასწარ გამომუშავებულ დამოკიდებულებას, როგორც უბრალო საბავშო გასართობისადმი. ნამდვილათ კი ეს აზრი არა თუ შემცდარია, დიდათ საზიანოა. ავიამოდელიზმი ეს პირველ ყოვლისა არის მასობრივი საბავშო სპორტის ყველაზე უფრო მიმზიდველი ფორმა, რომელიც ავითარებს ბავშვში მოძრაობას, სიცოცხლეს, ზუსტ თვალზომას. ამასთან ერთად ავიამოდელიზმი—ეს არის ჩვენს ბავშვებს შორის მასობრივ ტექნიკური პროპაგანდის ერთი ყველაზე უფრო მიმზიდველი ფორმა.

ყველასათვის ნათელია საავიაციო სპორტის როლი და მნიშვნელობა „მამაცი, გაბედული და დახელოვნებული საჰაერო მებრძოლების“ **(ვოროშილოვი)** მომზადების საქმეში.

ამასთან ერთად საავიაციო სპორტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას ჩავუნერგოთ ფრთხილი, მოფიქრებული დამოკიდებულება ტექნიკისადმი. ეჭვს გარეშეა, რომ საჰაერო სპორტსმენი იქნება მოწინავე ადამიანი წარმოებაში.

18 აგვისტო ჩვენს ქვეყანაში იქნება აეროკლუბების შემდგომი განვითარების დღე. ჩვენ უკვე პირდაპირ შევედით ისეთ პერიოდში, როცა თვითეული პოლიტიკური და სამრეწველო ცენტრი ცდილობს შექმნას თავისი აეროკლუბი, როგორც, ფართო მშრომელთა მასებში ავიოტექნიკური პროპაგანდის ცენტრი, მომზადების (წარმოებიდან მოუწყვეტლივ) ცენტრი.

საბჭოთა ლიტერატურას შეუძლია და უნდა გააკეთოს გაცილებით მეტი საავიაციო პროპაგანდისათვის, ვინემ მან ეს დღემდე გააკეთა. ჩვენ თითქმის არა გვაქვს საბავშო საავიაციო ლიტერატურა, ძალიან მცირეა საავიაციო სამხატვრო ლიტერატურა ახალგაზრდობისათვის. ლიტერატურა ჯერ კიდევ კონკრეტულად ვერ ჩაება, მაგალითად, ავიამოდელის და საპლანერო სპორტის პროპაგანდაში. სინამდვილეში კი თვით პრაქტიკა რამდენ მიმზიდველ თემას იძლევა! რამდენ მიმზიდველ თემას გვაძლევს საპლანერო სპორტი! ან ავიღოთ ჩვენი საჰაერო ფლოტი, საჰაერო მოგზაურობა მფრინავთა ცხოვრება განა ყოველივე ეს არ არის თემები, წარმტაცი, მდიდარი, სავსე თავისებური რევოლუციური რომანტიკით?

მე მინდა აქ აღვნიშნო ის, რაც უკვე გაკეთებულია საჰაერო ფლოტის მხატვრული პროპაგანდისათვის ამხ. მიხ. კოლცოვის მიერ მისმა წიგნებმა ავიაციის დარგიდან უკვე ჰპოვეს გზა მასობრივ მკითხველისადმი. ისინი აღვიძებენ ინტერესს ავიაციისადმი, საჰაერო საქმისადმი, თქვენ ჩვენს ახალგაზრდობაში ბევრს ნახავთ ისეთს, რომელსაც ინტერესი ავიაციისადმი გაეღვიძა მიხ. კოლცოვის წიგნის წაკითხვის შემდეგ.

დასასრულ, საბჭოთა ლიტერატურისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა—მწერალს შეუძლია და უნდა გვიჩვენოს ავიაციის მნიშვნელობა მომავალ ომში, რომელიც ასე დაჟინებით სურთ კრიზისის ბრჭყალებში მოწყვეტილ სულთ მობრძავ კაპიტალიზმის ქვეყნებს თავზე მოგვახვიონ.

რ. ეიდემანი

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარე.

ხანდრო ეული

ბოლშევიკი-პარტია

(ნაწყვეტი პოემიდან)

I

პროლოგი

ყოველი სიტყვა დღეს ჩვენგან თქმული
მოსაგონებლად განვლილ ბრძოლების
ჩქეფს შადრევანად ჩვენი გულიდან
სასიხარულოდ ჩვენი ცხოვრების..

—:— —:— —:—

აჰა, ჩვენი გზა ათეულ წლების
და ეს მანძილიც ახალ ეპოქის
გადაგვილახავს სიძნელეები,
ადამიანებს შორეულ ლტოლვის.

—:— —:— —:—

თუ ბედნიერი ყოფილა ვინმე,—
ამ ქვეყნად ჩვენც ვართ ბედნიერები,
მთების ოდენა ვზიდეთ სიმძიმე,
მაინც წელმაგრად ვდგევართ ვით მთები.

—:— —:— —:—

დღეს-ვმღერით ყველგან, დღეს ვმღერით
ერთად,—
ბრძოლის სიმღერა, ქუხილი მიწის,
დღეს ყველგან წვდება მოწოდების ხმად,
სადაც სისხლი და ცრემლები იღვრის...

—:— —:— —:—

ეს ისტორია ოცდაათი წლის,
საუკუნეებს ჩრდილს რომ აყენებს,
მილიონები ფურცლავენ ამ წიგნს,
ჩვენი პარტიის, ვკპ(ბ)—ეს,

—:— —:— —:—

ჩვენი პარტია ბოლშევიკია
და ბოლშევიკი პარტია არის,
მიწის ღერძი ვართ და არ გვიკლია
ქროლვის სიმძაფრე და ცეცხლის ქარი.

—:— —:— —:—

ამ ისტორიას ოცდა ათი წლის
დღეს ტრიბუნიდან გმირი მოგვითხრობს,
ბოლშევიკია გმირი პარტია
ბოლშევიკი დღეს სიტყვას მოითხოვს...

—:— —:— —:—

მეც ჩემი სიტყვით მივმართავ ყველას,
მინდა რომ ეს ხმა ყველას ესმოდეს,
ო, თუმცა მე ხმა ისეთი არ მაქვს,
რომ ჩვენს ეპოქას გადაწვდებოდეს.

—:— —:— —:—

მაგრამ ეს სიტყვა ამ ტრიბუნიდან
სტრიქონებია რომ მეტყველებენ,—
ამონახეთქი ჩემი გულიდან,
სულ რომ წვდებიან და აღელვებენ.

—:— —:— —:—

სტრიქონი პირველი

თვალს მივმოვავლებ შორეულ წარსულს
და ლექსი მომაქვს ამბებით სავსე,—
ვიცოდეთ ბრძოლამ მიზანს დასახულს
გამოუკვეთა მზიანი სახე.

—:— —:— —:—

ფიქრი შრომაზე დიდი ხანია,
შორეულია კლასთა ბრძოლებიც,
მაშინ დაიწყო ბრძოლის აკვანი,
როცა დაიწყო ჩაგვრა მონების.

—:— —:— —:—

კაპიტალს გაშლა მოუნდა ფრთების,—
(კოლონიებში იპყრობდა ბაზრებს)—
დაბერა ქარმა ახალ აზრების
და გაფიცვებში სისხლი დაღვარეს.

—:— —:— —:—

გვქონდა ბრძოლები სხვადასხვა გზებით
და თავდადებაც მრავალნაირი,—
რომ შექმნილიყო ახალ აზრების
და ბოლშევიკი პარტია გმირი...

—:— —:— —:—

განა პარიზის კომუნის სახე
სისხლი დაღვრილი ოკეანებათ.
ჩვენ ოქტომბერით არ გამოვსახეთ?
თუმცა მას მოჰყვა სხვა გათენება.

—:— —:— —:—

რამდენ სახელებს გულით ვატარებთ,
რომ აფრიალდეს დროშა მზის ფერი.
რამდენ სახელებს ზიზღს არ ვაკმარებთ,
როგორიც იყო ძაღლი ტიერი.

—:— —:— —:—

თუმცა პარიზის კომუნა მოჰკლეს,
მაგრამ იდეია ისევ ცოცხლობდა,—
იყო მძაფრი და ველარ მოთოკეს,
იყო უსაზღვრო და ყველგან ჰქროდა.

—:— —:— —:—

და გადაიქცა ზღვად მოძრაობა,
ლელვა და შფოთვა მილიონების,
კვლავ დედა—მიწას წოვდა ობობა,
ისევ ბნელოდა ღამე ცხოვრების.

—:— —:— —:—

სტრიქონი მეორე

მძიმე მომენტში ბელადთან გაჩნდა,
ამოიმართა პარტიის კაცი,
გენიის შუქი სახეზე აჩნდა,
ქონდა სახელი პირველ მოწაფის.

—:— —:— —:—

პირველ ლენინელს პირველთა შორის
პარტიამ თავის გადასცა საჭე.
მონოლიტობას, ხაზი სისწორეს
პარტიის მხოლოდ ოსტატი გასჭედს.

—:— —:— —:—

ბოლშევიკობა იყო მთავარი,
სიმტკიცე,—დაცვა „ციხის“ შიგნიდან,
პარტია იყო ჩვენი საფარი,
თავს ესხმებოდნენ მას ყოველ მხრიდან..

—:— —:— —:—

ბელადის იყო მოწოდებები:
„მთელი პარტია შეიარაღდეს,
ტყვიების წვიმად გადმოვიღვრებით,
ბრძოლა დავიწყოთ, ბრძოლა გაჩაღდეს“.

—:— —:— —:—

ლენინ და სტალინ, ორი ბელადი
და ოქტომბერის ცეცხლის ალები,
ჩვენი პარტიის საქმე დიადი.
მისი საბრძოლო ამოცანები.

დრამატურგიის საკითხები*)

I

თეატრი სინთეტიური ხელოვნებაა თავისი ბუნებით. ოდესღაც პრიმიტიული თეატრალური სახიერება განვითარების ისეთ მწვერვალზე ავიდა, სადაც მაყურებელს შესაძლებლობა აქვს ერთდროულად განიცადოს ხელოვნებათა მთელი კომპლექსის ზეგავლენა. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებლობა თვითონ თეატრის შინაგანი ბუნების შედეგია. თეატრში მართლაც ადგილი აქვს სხვადასხვა ხელოვნებათა „საზეიმო შეხვედრას“. მისი სინთეტიური ხასიათით აიხსნება ის მძაფრი ზეგავლენის ძალა, რომელიც თეატრალურ სახიერებას უდიდეს უპირატესობას ანიჭებს ცალკე ხელოვნებათა წინაშე.

როგორია ამ სინთეზის ხასიათი?

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თეატრის სცენაზე „საზეიმოდ მოწვეული“ ხელოვნება სრულიად თავისუფალია იმ როლის განხორციელებაში, რომელიც მას დაკისრებული აქვს საკუთარი ბუნების ტენდენციით. პირიქით: ყოველი ხელოვნება თეატრის დარბაზში გარკვეული დეტერმინაციის გზით არის მიმართული, რაც საფუძველს გვაძლევს თეატრის მიმართ ვილაპარაკოთ, მაგალითად არა მუსიკის შესახებ საერთოდ, არამედ დრამატიული მუსიკის შესახებ საკუთრივ.

ბუნებრივად იბადება კითხვა: სად არის მოთავსებული ეს დეტერმინანტული ტენდენცია?

განა ყველასათვის ცხადი არ უნდა იყოს, რომ პიესის შინაგანი კონსტრუქცია განსაზღვრავს მთელი თეატრალური სინთეზის ხასიათს? თითქოს შეიძლებოდა ეს მარტივი კითხვა არც კი გამხდარიყო სადიებელ საგნად. მაგრამ ხშირად მარტივ საკითხს უფრო მეტი ბუნდოვანების შემოხვევა სჩვევია, ვიდრე ამას მისი პრობლემატიური ბუნება მოითხოვს.

ჩვენ ავიღებთ უბრალო მაგალითს.

რუსთაველის თეატრმა გასულ სეზონში მოგვცა მეტად საინტერესო სპექტაკლი: „ინტრიგანის“. შეეძლოთ თუ არა თეატრს პიესის მუსიკალური გაფორმება აეგო ქართულ ხალხურ მოტივებზე, გერმანული დარბაზის მაგიერ მოეცა სვანური კოშკი, ხოლო აქტიორებისათვის ჩაეცვა კავკასიური ტიპის ტანისამოსი?

რა თქმა უნდა, არ შეეძლო. ეს პასუხი დასმულ კითხვასავით მარტივია და ცხადი. მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ის მიზეზი, რომელიც ამ შეუძლებლობას უდევს საფუძვლად. განა სადაო შეიძლება გახდეს ის გარემოება, რომ ამ მიზეზს მთელი დრამატიული ნაწარმოების ორგანიზმი წარმოადგენს?

გაცილებით უფრო მეტი უფლებით შეგვიძლია იგივე ვსთქვათ აქტიორული განსახიერების შესახებ, რომელსაც თეატრში ცენტრალური ადგილი აქვს მიკუთვნებული. ის, რასაც ჩვეულებრივ როლის ინტერპრეტაცია ეწოდება, დამოკიდებულია მთლიანად და სავსებით დრამის ტექსტუალურ მასალაზე. როდესაც ჩვენ შილერის „ყაჩაღები“ ვნახეთ, სწორედ ამ ტექსტუალურ მასალას ვემყარებოდით ფრანც მოორის როლის ინტერპრეტაციის დაწუნებაში, ხოლო რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობა, რომელიც საერთოდ უარჰყოფს დრამატურგიის პრიორიტეტს, იმავე ტექსტუალური მასალის ნიადაგზე იწონებდა ფრანც მოორის განსახიერებას. კრიტიკული არგუმენტების გამოყენებაში, უნებლიეთ და კერძოდ რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელთა შეხედულების მიუხედავად, ორივე მხარე არსებითად ერთსა და იმავე საფუძველს დაეყრდნო: ეს იყო შილერის დრამა „ინტრიგანის“. განა შეიძლებოდა სხვანაირი დასაბუთება?

დრამა, რომელსაც ავტორი ჰქმნის ორგანიზმია უდაოთ თავისი იდეური, შინაარსობრივი და ფორმალური. „ყაჩაღებში“ სრულიად გარკვეული და დამთავრებული ერთეულებია გამოყვანილი. დიდი ოსტატის ხელმა მთელი პიესის გასწვრივ მოხდენილად შეუხამა თავისი პორტრეტების სიტყვა და საქმე იმ იდეებს, რომლებიც საფუძვლად დაუდო დრამატიულ მომენტს. რუსთაველის თეატრმა ფრანცის განსახიერებაში ეს მთლიანობა დაარღვია და მისი ნაწილები ჰეტეროგენულ ხაზებში განავითარა.

ამ მოკლე შენიშვნებიდან გვგონია სავსებით ნათელი უნდა იყოს დებულება, რომელსაც ჩვენ ვიცავთ. დრამატურგიას თეატრში იგივე როლი აქვს დაკისრებული, რაც პარტიტურას სიმფონიურ ორკესტრში. პიესის დრამატიული პარტიტურა განსაზღვრავს მის სცენიურ გაფორმებას საერთოდ და აქტიორულ განსახიერებას უმთავრესად.

აქ ბუნებრივად იბადება შემდეგი საკითხი: თუ დრამატიული პარტიტურა განსაზღვრავს თეატრის სინთეტიურ აგებულებას, როგორ უნდა აიხსნას მაშინ ის ფაქტი, რომ ორ თეატრში ერთი და იგივე პიესა ყოველთვის ორი დადგმაა და არა ერთი.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ განსაზღვრას მათემატიკური დამოკიდებულების ხასიათი აქვს და დრამატიული პარტიტურა ისეთ ურთიერთობაში იმყოფება ცალკე ხელოვნებასთან, როგორც ფუნქცია თავის არგუმენტთან. ამ სინთეზის ხასიათს, ისევე როგორც აქტიორულ სახიერებას, საგრძნობი ვარიაციის რადიუსი აქვს.

სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლია ამ საკითხს ისე ამომწურავად შევეხოთ, როგორც ამას პრობლემის სერიოზულობა მოითხოვს.

მაგალითად აქტიორული სახიერება ობიექტურად რთულ გამომსახველ მოძრაობათა კომპლექსს წარმოადგენს. არსებითად ამ კომპლექსს ადეკვატური ხასიათი აქვს, მაგრამ მისი ბუნება არავითარ შემთხვევაში არ არის ერთხაზოვანი. ესა თუ ის შინაგანი განწყობილება ყოველთვის მოძრაობათა მთლიანობაში იჩენს თავს და მისი პარციალური მომენტები, ცალკე დეტალები და შტრიხები სრულიადაც არ წარმოადგენენ მათემატიკურად გარკვეულ ერთეულებს. როგორც ვსთქვით, მთავარია კომპლექსური მთლიანობა, რომელსაც დიდი მრავალსახიანობა ახასიათებს.

ეს არის სწორედ ის, რაც საშუალებას აძლევს აქტიორს ერთი და იგივე როლი სხვადასხვა ვარიაციით განასახიეროს. მაგრამ ეს განსაზღვრავს იმავე დროს იმას, რასაც ჩვენ გამოვხატავთ სიტყვებით „კარგი“ და „ცუდი“.

მართალია ჩვენს მსჯელობას ფრაგმენტარული ხასიათი აქვს, მაგრამ ერთი გარემოება ვგონებ აქედანაც უნდა ცხადი იყოს. თეატრალური სინთეზი არასოდეს არ არის ერთსახიანი მათემატიკური მთლიანობა, რომელიც იმთავითვე ნაგულისხმევია დრამატიული პარტიტურის აგებულობაში. ჩვენ შეგვიძლია მას **შემოქმედებითი სინთეზი** ვუწოდოთ.

თეატრი ხელოვნებათა უბრალო შემკრები როდია. არც ერთი ხელოვნება არ მოდის თეატრში იმისათვის, რომ საკუთარი მშვენიერებანი გადაშალოს მაყურებლის წინაშე, არც იმისათვის, რომ სასპარეზოდ გამოიწვიოს რომელიმე მათგანი, დამოკიდებული მიზნები დაისახოს და პარციალური ტენდენცია განავითაროს. ყოველი ხელოვნება გარკვეული მთლიანობის კომპლექსშია ჩაქსოვილი. ამ მთლიანობას მკაფიოდ გამოკვეთილი შემოქმედებითი ხასიათი აქვს და მას თავისი ავტორი მოეპოვება. ეს არის რეჟისორი.

ჩვენ გვსურს ისევ გავიხსენოთ სიმფონიური ორკესტრის ანალოგია. რეჟისორის როლი თეატრში მრავალმხრივ გვაგონებს დირიჟორის როლს სიმფონიურ ორკესტრში. ყოველი დირიჟორი შემოქმედებითი სინთეზის სიმაღლეზე სდგას. იგი სიმფონიის მეორე ავტორია, რომელიც პარტიტურის შესაძლებლობას მრავალი ხერხითა და საშუალებით ამჟღავნებს. საბოლოოდ მთელი ამ შესაძლებლობის ვარიანტულ რადიუსს ისევ პარტიტურა განსაზღვრავს.

ამრიგად არც რეჟისორია სავსებით თავისუფალი თავისი მოქმედების არეში. მისი მოქმედება იმავე დრამატიული პარტიტურით არის ფრთაშეკვეცილი. მან ეს პარტიტურა უნდა აამეტყველოს, სინთეზის წვერთა ვარიანტულ შეხვედრის ნიადაგზე ისეთი მთლიანობა მონახოს, რომელიც ყველაზე უკეთ გაშლის დრამის შინაგან შესაძლებლობას.

განა აქ არ მარხია რეჟისორის მაღალი დანიშნულება? თეატრში მრავალი ხელოვნება მოდის ოლიმპიურ ზეიმში მონაწილეობის მისაღებათ. დრამატიული პარტიტურის გარეშე უაზრო იქნებოდა მათი მოსვლა თეატრის დარბაზში. მაგრამ რეჟისორის შემოქმედებითი ხელის გარეშე, ვერც ერთი მათგანი ვერ აინთებოდა მხატვრული ცეცხლით. როდესაც ძველი ბერძენი მიდიოდა სასპარეზოდ მან იცოდა თავისი მოგზაურობის მიზანი და საკუთარი შესაძლებლობანი. არხონტის ვალი იყო სასპარეზოდ მოსულ ელინთა შორის წესი და მთლიანობა შეეტანა. რა თქმა უნდა, რეჟისორს არხონტს ვერ შევადარებთ, მაგრამ ერთგვარი მორიგული ანალოგიით მისთვის შეგვეძლო თეატრის არხონტი გვეწოდებია.

სრულიად სამართლიანად უჩივიან ზოგიერთ ქართულ თეატრს გარეგანი ხერხების გაბატონებას დრამის ორგანიზმზე. ხშირად მართლაც აქვს ადგილი დრამატიული ნაწარმოების გამოყენებას სცენიური ეფექტის მიზნით. მაგალითისათვის შეგვეძლო იგივე „ყაჩაღები“ დაგვესახელებია. თეატრის ხელმძღვანელობამ მესამე აქტში შეთხზულების მომენტი შეიტანა. დაკვირვებულ მაყურებელს არასოდეს არ გამოეპარება, რომ ეს შეთხზულება თეთრი ძაფით არის მიკერილი პიესის ორგანიზმზე, რომ იგი არ არის დაკავშირებული დრამის შინაგან ტენდენციებთან. მაყურებელი მოითხოვს აქტიორის დასაბუთებულ მოქმედებას, სცენიური განვითარების შინაგან სიმართლეს.

რა იქნებოდა პრაქტიკულად ყველაზე უფრო საჭირო და ნაყოფიერი? ცხადია, პირველ რიგში, ავტორის, რეჟისორის და აქტიორის მჭიდრო, საქმიანი თანამშრომლობა.

გიორგი ნადირაძე.

---

*) საკითხის განხილვის წესით.

[illegible]

Советский
писатель
Абхазии

ОРГАН СОВЕТА СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ АССР АБХАЗИИ

შენიშვნები საბჭოთა აფხაზეთის ლიტერატურაზე

(გაზ. „აფხაზეთის საბჭ. მწერლის“ მიხედვით)

აფხაზეთის მწერლობა ყველაზე უფრო ახალგაზრდაა. იგი ნამდვილი პირმშოა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის, თუ მენშევიკების სისხლისმღვრელ კოლონიალური დარბევის პოლიტიკის პირობებში სავსებით გამორიცხული იყო აფხაზეთის პოლიტიკურ - ეკონომიური და კულტურული განვითარების პერსპექტივა, თუ მენშევიკების „პროვინციალური იმპერიალიზმი“ მეფის დიდმპყრობელობასაც აჭარბებდა, პროლეტარული დიქტატურის ეპოქამ მისცა აფხაზეთს შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის აყვავების, ახალი შესაძლებლობა.

აფხაზეთის საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში გამოსული მცხოვანი აფხაზი მწერალი **დიმიტრი გულია**, რომელსაც წილად ხვდა კარჩაკეტილობიდან გამოყვანა და პოპულარიზაცია აფხაზეთის გლეხური მასის პოეზიის სიმდიდრისათვის.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, კოლექტივიზაციის გაშლამ და კულტურული რევოლუციის ღრმად შეჭრამ მასებში განამტკიცა მუშათა და კოლმეურნეთა რაზმები, საიდანაც აფხაზეთის საბჭოთა მწერლობა განუწყვეტლივ იღებს ახალ და მასიან ინტერნაციონალურ შევსებას. მთავარი სალიტერატურო ორგანო—გაზეთი **„აფხაზეთის საბჭოთა მწერალი“**-ც ასრულებს ინტერნაციონალურ ამოცანას: თავის ფურცლებზე იგი იძლევა ლიტერატურულ პროდუქციას რამოდენიმე ენაზე და ამასთან ერთად (რუსულის საშუალებით) ამა თუ იმ ნაწარმოების განმეორებით პუბლიკაციასაც, მიმართავს.

სამწუხაროთ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას, რათა წარმოდგენა მივსცეთ მკითხველს აფხაზურ ენაზე გამოქვეყნებულ მასალის შესახებ, მაგრამ რამდენადაც აფხაზი მწერლები უმთავრეს თანამედროვე თემებზე დაწერილ თავის ნაწარმოებს სთარგმნიან ან ზოგჯერ რუსულადაც სწერენ, ჩვენ არა გვაქვს მოსპობილი საშუალება ასე თუ ისე, გავერკვიოთ მათ შემოქმედებაში.

წარმოდგენილი შენიშვნები ნაყოფია გაზეთ „აფხაზეთის საბჭოთა მწერლის“ **მხოლოდ** შვიდი ნომრის გაცნობისა (1932 წ. ბოლო და 1933 წ. დასაწყისი). ჩვენ ხელთ არაა ის სალიტ. კრებულები, ცალკეულ მწერალთა წიგნები და სხვ. სალიტ. მასალა, რომლის შესახებ ვხვდებით ცნობებს აფხაზ. სალიტერატურო გაზეთში.

გაზეთთან პირველ გაცნობისთანავე მკითხველისათვის ნათელი ხდება ლიტერატურულ პროცესის ინტენსივობა და ლიტ. ძალების ენთუზიაზმი. აშკარაა, რომ აფხაზეთის ახლად აღმოცენებული მწერლობის ინტერნაციონალური ოჯახი ისწრაფვის პასუხი გასცეს საბჭოთა ხალხებთან ერთად მსოფლიო - ისტორიულ გზაზე დამდგარ აფხაზეთის სინამდვილეს, სოციალისტური შენების რეალიზმის საშუალებით დაგვიხატოს ახალი ცხოვრების სურათი, მოგვცეს ტყვარჩელსტალინმშენში, ბზიბმშენში, სოხუმის საწარმოებში მოსულ აფხაზურ და ინტერნაციონალურ პროლეტარულ კადრების საწარმო კლასობრივი დადგენის ასახვა.

სოციალისტურ-რეალისტურ პროზაში უეჭველად გამოირჩევა აფხაზეთის ცნობილი მწერალი **ს. ჩანბა.**

ჩანბას შემოქმედება სავსებით მიძღვნილია აფხაზეთის მშრომელი გლეხობის ბრძოლისადმი, როგორც წარსულში, ფეოდალური ექსპლოატაციის და ცარიზმის ჩაგვრის პირობებში, ისე კულაკობის და დამარცხებულ თავადაზნაურობის ნაშხერევებთან კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის და გამარჯვების თანამედროვე ეპოქაში. მოთხრობა „სალაპალამ“ ამჟღავნებს ილორის ცნობილ „წმინდა“ გიორგის ხატს, როგორც აფხაზ გლეხების საუკუნო ექსპლოატაციის და ყვლეფის საშუალებას. თავის დრამაში „მუხაჯირები“ (დევნილები) მწერალი აღადგენს ალ. ყაზბეგის „ელისო“-ში მოცემულ ჩეჩენთა განდევნის და გადახვეწის ტრაგედიის მსგავს მდგომარეობას, როდესაც რამოდენიმე ათეული წლის წინად რუსეთის თვითმპყრობელობამ აფხაზეთის მიწა-წყლიდან აყარა მშრომელი აფხაზები, რომელნიც გადაიხვეწნენ ოსმალეთს. რუსეთის ცარიზმის და აფხაზეთის ფეოდალიზმის სისხლიან კავშირს დრამა უპირისპირებს რევოლუციურ რომანტიკას, რომელიც ბრძოლისა და წინააღმდეგობისაკენ იწვევს მკითხველს და მაყურებელს. ს. ჩანბა ორგანიულადაა დაკავშირებული წარსულ და თანამედროვე სოციალურ სინამდვილესთან და მისი ლიტ. პრაქტიკა სავსებით დაყრდნობილია ამ ცხოველმყოფელ წყაროზე. თავის წერილში „როგორ ვმუშაობს“ (აფხაზეთის საბჭოთა მწერლების“ 2—33 წ.), სადაც ს. ჩანბა აცხადებს, რომ არ სწამს არავითარი „მოაგონება“, არამედ სწამს კავშირი რეალ ცხოვრებასთან, რაც ნებას არ აძლევს ხელოვნების ცხოვრებისაგან გათიშვისა. მწერალს სავსებით სწორადაა აქვს გააზრებული და დასაბუთებული საბჭოთა მწერლის საბრძოლო ამოცანები. ამის საუკეთესო მაჩვენებელია მოთხრობა „სეიდიკ“, სადაც მთის ცხოვრების თავისებურების ფონზე მოცემულია აფხაზ კულაკის და მასთან ერთად სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების მოქმედება, რასაც მწერალი, როგორც თითონვე ამბობს, გლეჯს ნიღაბებს. „სეიდიკ“ ქართველ მკითხველს აგონებს ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას მთის სოციალურ-მხატვრულ გარემოს, მაგრამ აფხაზი მწერლის მსოფლმხედველობითი ხარისხი და მისგან გამომდინარე მოვლენების რევოლუციური ასპექტით აღება სავსებით ანსხვავებს მას ჩვენი კლასიკოსების ნაროდნიკულ - წვრილბურჟუაზიულ მიწაშისაგან. ჩანბა მხატვრული დამაჯერებლობით ხატავს პირველ კოლმეურნეობების ჩასახვის პერიოდს აფხაზეთში, კონტრრევოლუციური ძალების მოქნილ ხერხებს, ღარიბის ბრძოლას და სხვა.

სოციალური მოტივებითაა გამსჭვალული აგრეთვე **გ. გულიას** პროზის ნაწყვეტი — „ჩაჭიდულ გზით“, სადაც მოცემულია თავად აზნაურულ მწერლობაში ეგზოტიურად მიჩნეული და გმირობად აღიარებული ცხენის ქურდობის ყალბი რომანტიკის გაშიშვლება და ისევ კლასობრივ - ექსპლოატატორულ ბუნების მხილება. ღარიბი გლეხი მეურითხვა იძულებულია „იშვილოს“ თავადის შვილი ალდიზი მხოლოდ იმიტომ, რომ უზრუნველჰყოს თავი საქონლის მოპარვისაგან, რადგან ალდიზი საქონლის ქურდების მეთაურია. მაგრამ მეურითხვას „უზრუნველყოფა“ არა რეალური და მოჩვენებითია, რადგან ძველი ჩვეულების თანახმად მან „ნაშვილებ“ ალდიზს საჩუქრად უნდა მიართვას ცხენი, უღელი კამეჩი, უნაგირი, ასი მანეთი ფული და ამას გარდა გაიხადოს დიდი წვეულება. ამგვარად მეურითხვა მაინც გაძარცული რჩება. გულიას რეალიზმი საღი, სატირიულ-მამხილებელია. მხატვრულ ხერხებს მწერალი ფლობს ოსტატობით, ორიგინალური სახეების მოცემით. მაგ.. „...მხედრებმა ისეთი მტვერი დააყენეს, იგი სწორედ იმდენხანს იდგა ჰაერში, რამდენიც საჭიროა რომ ხუთმეტ ძირ ყანას შემოუარო თოხმა“.

კომკავშირულ ცხოვრებიდან აღებულ თემას ცდილობს შეეხოს **ნ. მიქავა** ქართულ პროზაულ ნაწყვეტში „გარღვევა“, რომელსაც ამბის შინაარსთან სავსებით შეუფერებლად ქვესათაურის სახით მიმატებული აქვს ფრანგ სიმბოლისტ პოეტის არტურ რემბოს პოემის სახელწოდება „მთვრალი ხომალდი“. ავტორის მიზნადა აქვს გადმოგვცეს ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გაემგზავრა თერთმეტი კომკავშირელი მეჭედავი თამბაქოს კოლმეურნეობაში გარღვევასთან ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ სავსებით [illegible] აღებულ შინაარსის არევით ინდივიდუალისტურ - სიმბოლისტურ სტილის უხერხულ და სრულიად ზედმეტ მიბაძვასთან იგი ვერ აღწევს სასურველ შედეგს, რადგან განზე სტოვებს ნაწარმოების წამყვან იდეას.

„შვილის სიმღერაში“ ნ. მიქავა მიმართავს ლექსს პროზით და მისი ულექსი ნიმუშების მიბაძვის და, რაც მთავარია, მსოფლმხედველობითი გაურკვევლობისგამო ავალებს თემას. „რიჩარდ ლომგულის (!?) ისარით გაპობილ გულის პატრონი მოხუცი კულაკი (ან ყოველ შემთხვევაში მათი მომხრე) მაჯარა არ უშვებს კომკავშირელ — შვილს მთაში, სადაც კულაკებმა წყალი შეუჩერეს კოლმეურნეებს. შვილი მაინც მიდის მტერთან. შებმის დროს კვდება და მამას, რომელიც საერთოდ „ჩონგურის დაოსებული ხმით უცხადებს პროტესტს სამყა- [illegible] სურს **შვილის ცხედარსაც** დაამღეროს, მაგრამ ამ დროს მის წინ უეცრად გაიშლება „რაღაც ახალი, მიუწვდომი, რომელიც მიიწევს **და უხვი სინათლით უბრმავებს თვალებს**“—და იგი იატაკზე ანარცხებს ჩონგურს. მას თითქო ესმის შვილის ხმა: „არა, მამა ჩემო! ჩემი სიმღერა უფრო ძლიერია შენს სიმღერაზე“, ე. ი. ავტორს გაყავს ის შემცდარი და ყალბი აზრი თითქო კლასობრივ ბრძოლაში მტერი ყრის იარაღს არა გამანადგურებელი დარტყმის შემდეგ, არამედ მოწინააღმდეგის იდეების „უხვი სინათლით დაბრმავების გამო“. ეტიუდში „დიად საქმისათვის“ ავტორი [illegible] სიმბოლისტურ-ბურჟუაზიულ ესთეტიკის ტრადიციებისადმი, რომელთაც მეტად **მნიშვნელოვანი ადგილი** უჭირავთ მის პრაქტიკაში: მაგ., იგი სწერს „ბებერ—სფინქსის დიდი რუსეთის“ შესახებ, „სიმშილის და გარყვნილების დაძველებულ სარანგებზე—გიგანტ ქალაქებზე“, და სხვ. მაგრამ ამასთან უნდა ითქვას, რომ თავის კრიტიკულ შენიშვნებში მიქავა არ იჩენს ბურჟუაზიულ პოეტურ სკოლების ეპიგონობას, რომლითაც დაავადებულია მისი მხატვრული პრაქტიკა, ზოგჯერ მახვილ პუბლიცისტურ კრიტიკის იარაღის ხმარებაც ემარჯვება (წერილი „ზოგიერთ „პოეტების“ ქართული სიბრმავე“), მაგრამ წერილი „ვ. ცლონტის ლირიკის შესახებ“ უსათუოდ ანგარიშმიუცემელ და საბჭ. კრიტიკაში დაუშვებელ მეტად იაფი ქების ნიმუშია, რომელიც არაფერს არ აძლევს ამ შემთხვევაში ვ. ცლონტს როგორც პოეტს, რომელსაც ჩვენს მიერ გაცნობილ გაზეთის ნომრებში მოთავსებულ ლექსების და საკუთარი განცხადებების მიხედვით ვერ დააყენებთ ბეზიმენსკის და თუნდაც ჟაროვის „გვერდით“, როგორც ამას ჩადის ნ. მიქავა.

საერთოდ კი გაზეთის ფურცლებზე მოთავსებული ქართული გაცილებით სუსტია იქვე მოთავსებულ რუსულ ან, მაგ., ბერძნულიდან ნათარგმნ ლექსებზედაც კი. ქართული ლექსები (**ლელი, ბახილაია, ფიცხალაიშვილი** და სხვ.) თითქოს სავსებით განზე დგანან ქართულ საბჭოთა პოეზიის მიღწევებისა და ზეგავლენისაგან. და ის ნაკლი, რომელსაც ადგილობრივ რუსულ ლექსების შესახებ აღნიშნავს მ. სტარცევი („აფხ. საბჭოთა მწ. 11—32 წ.), როგორც დამუშავებულ თემების ზედაპირულ შეხებას, მხატვრული ძალის და განზოგადოების უქონლობას და სხვ., სავსებით შეიძლება მივაკუთვნოთ ქართულ ლექსებსაც.

ასეთია ჩვენი შთაბეჭდილებები და ზოგიერთი დასკვნები ნაწილობრივად გაცნობილ აფხაზეთის საბჭოთა მწერლობის ნიმუშებისაგან. რა თქმა უნდა მოცემულ შენიშვნების სახით შეუძლებელია მთლიანი შთაბეჭდილების შემუშავება იმ მნიშვნელოვან ლიტერატურულ პროცესის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს აფხაზეთის სალიტერატურო ფრონტზე განსაკუთრებით 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ შექმნილ პირობებში. მარტო ის ფაქტი, რომ სულ რამოდენიმე წლის წინად ერთადერთი სალიტერატურო წრე აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირად გაიშალა, მოწმობს პროლეტარული რევოლუციის მიერ განთავისუფლებულ ქვეყნის მშრომელ მასების შემოქმედებითი ენერგიის უჩვეულო განვითარებას, მის გარდაქმნას უკლასო სოციალისტური საზოგადოების შენების მძლავრ იარაღად.

ეჭვს გარეშეა, რომ აფხაზეთის საბჭოთა მწერლობა თვალსაჩინო მიღწევებით წარსდგება საბჭოთა მწერლობის საკავშირო ყრილობაზე და როგორც პროლეტარიატის დიქტატურის პირმშო და ერთ-ერთი ახალი შენაკადი საბჭოთა კავშირის ხალხების მწერლობისა, ახალი შემოქმედებითი კონტაქტით გაძლიერებული, განაგრძობს თავის გზას სოციალისტური მწერლობის შექმნის საქმეში.

ალი არსენიშვილი.

ამხ. სიმონ ხუნდაძე

ბიოგრაფიული ცნობები

ამხ. სიმონ ხუნდაძე დაიბადა 1895 წელს სოფ. კალაგონში (ყოფ. ოზურგეთის მაზრა). პირველ დაწყებით განათლება მიიღო სოფლის სკოლაში. სასოფლო სკოლის დამთავრების შემდეგ ამხ. სიმონი შეყავთ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. აქ იგი სასკოლო კურსის გავლის გარდა, ეწაფება თვითგანვითარებას, მეცადინეობს სალიტერატურო წრეებში, აქტიურად მუშაობს მოწაფეთა არალეგალურ ჯგუფებში და სხ. 1914 წელს გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ამხ. სიმონი მიემგზავრება მოსკოვს და შედის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 1917 წლის რევოლიუციამ, მას მე-3 კურსზე მოუსწრო. იგი ანებებს უნივერსიტეტს თავს და მოემგზავრება საქართველოში. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში მომხდარ განხეთქილების დროს ის ემხრობა მემარცხენე მიმდინარეობას, ხოლო 1921 წლიდან —საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იგი მეთაურობს მემარცხენე სოც. ფედერალისტთა პარტიას და რედაქტორობს ამ პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ტრიბუნას“. ამავე წელს მას ირჩევენ პირველი მოწვევის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის წევრად. მემარცხენე სოც. ფედერალისტთა პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ იგი შედის კომუნისტურ პარტიაში, ხდება გაზეთ „კომუნისტი“-ს მუდმივ თანამშრომლად.

1924 წელს ამხ. სიმონი მეცნიერული კვალიფიკაციის მისაღებად იგზავნება მოსკოვის კომუნისტურ აკადემიაში. აკადემიის დამთავრებისთანავე იგი ჩამოდის საქართველოში და იწყებს მუშაობას სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზე, ამ დროიდან იგი უფრო ინტენსიურად კიდებს ხელს მე-19 საუკ. საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების შესწავლას და საკვლევა-ძიებო მუშაობას ამ დარგში. იგი აგროვებს დიდძალ საარქივო მასალას, ალაგებს და სისტემატიზაციაში მოჰყავს იგი. ამავე ხანებში ამხ. სიმონ ხუნდაძე რედაქტორობს ჟურნალ „ქართულ მწერლობა“-ს და მონაწილეობს თითქმის ყველა საბჭოთა პერიოდულ გამოცემებში.

პოლიტიკურ ლიტერატურის სერიიდან ამხ სიმონის კალამს ეკუთვნის შრომები „იმპერიალიზმის შესახებ“, „პირველი ინტერნაციონალის ისტორია“ და სხ. საქ. საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიიდან „სოციალიზმის ისტორია საქართველოში“ —ორ ტომად, „ქართული ინტელიგენციის პროფილი“ და სხ.

ამხ. სიმონის რედაქტორობით და კომენტარიებით გამოცემულია შემდეგი ქართული კლასიკოსები: **გ. წერეთელი**—ორ ტომად. **ეგნ. ნინოშვილი**—ორ ტომად, **ნ. ნიკოლაძე** —ორ ტომად **დიმ. ყიფიანის** მემუარები. ამხ. სიმონს დარჩა აგრეთვე გამოუქვეყნებელი მონოგრაფიები დიმიტრი ყიფიანზე, ივანე მაჩაბელზე, აკაკი წერეთელზე, ქართულ უახლეს მწერლობაზე.

უკანასკნელად ამხ. სიმონ ხუნდაძეს ეკავა სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობა და მისი ხელმძღვანელობით ლიტერატურათმცოდნეობაში მუშაობდა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი. ამხ. სიმონი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის აქტიური თანამშრომელი და [illegible] კავშირის საბჭოს ორგანიზაციის წევრი.

ჯანმრთელობით სავსე ახალგაზრდა მეცნიერი და მწერალი ამხ. სიმონ ხუნდაძე გარდაიცვალა სრულიად მოულოდნელად ტვინის სისხლის ჩაქცევისაგან სკლეროზის ნიადაგზე.

განსახკომის დადგენილება

გამოიყოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ამხ. **სიმონ ხუნდაძის** დამკრძალავი კომისია შემდეგი ამხ. შემადგენლობით:

ლ. ალნიაშვილი (თავმჯდომარე), გეგენავა, სულაქველიძე, მ. ტოროშელიძე, მიწიშვილი, ჟღენტი ბ. ბიბინეიშვილი; დემეტრაძე, მ. ჯავახიშვილი, პ. შარია, ახვლედიანი, ა. თოდრია; შ. დუდუჩავა, ა. პაპავა.

ჟურნალი „მნათობი“-ს რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს ჟურნალი-ს მუდმივი თანამშრომლის და ქართული მწერლობის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარის

ამხ. სიმონ ხუნდაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

გამომცემლობა „ფედერაცია“ მწუხარებით იუწყება გამომცემლობის ყოფილი დირექტორის და ქართული კლასიკური მწერლობის გამოცემათა დაუღალავი რედაქტორის

ამხ. სიმონ ხუნდაძის

უდროოდ გარდაცვალებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი უღრმესი მწუხარებით აცხადებს, რომ 21 აგვისტოს ტფილისში უდროოდ გარდაიცვალა მწერალთა კავშირის საბჭოს წევრი, ლიტერატურის ცნობილი კრიტიკოსი და [illegible] მწერლობის [illegible] დაუღალავი მკვლევარი

ამხ. სიმონ ხუნდაძე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა უდიდეს მწუხარებას გამოსთქვამს სახელგამის ყოფილი გამგის, ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარის და ქართული წიგნის კულტურისათვის დაუღალავი მუშაკის

ამხ. სიმონ ხუნდაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

იტერატურო გაზეთი“-ს რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გაზეთის უახლოეს თანამშრომელთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა ქართული კომუნისტური კრიტიკის და ლიტერატურის ისტორიის თვალსაჩინო მუშაკი

ამხ. სიმონ ხუნდაძე

ბ. ჟღენტი

ენთუზიასტი მეცნიერის ხსოვნას

სოციალისტური მწერლობისათვის მებრძოლ ავანგარდს, რევოლიუციონური ეპოქის ლიტერატურულ თაობას გამოაკლდა ერთ-ერთი საუკეთესო და მოწინავე წევრი —ღრმა ლიტერატურული ერუდიციის, განუზომელი შემოქმედებითი პოტენციის და იშვიათი ადამიანური ღირსებების მქონე ამხანაგი სიმონ ხუნდაძე.

ჩვენმა მარქსისტულ-ლენინურმა კრიტიკამ, ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამ, საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიამ და მთლიანად სოციალისტური კულტურის მშენებლობის ფრონტმა განიცადა მწვავე და ძნელად ასანაზღაურებელი დანაკლისი. ეხლა ძნელია ამ დანაკლისის სისავსით, მთელი მოცულობით გააზრება. ეხლა შეუძლებელია იმ მდიდარი და მრავალმხრივად ნაყოფიერი მოღვაწეობის შეფასება, რომლითაც აღინიშნა ამხ. სიმონის ხანმოკლე სიცოცხლე.

მით უფრო დაუძლეველია ეს ამოცანა ჩვენთვის. ამხ: სიმონთან არა მარტო ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მუშაობით, არამედ პირადი მეგობრობით დაკავშირებულ—ამხანაგებისათვის, რომელთა ცნობიერებაშიც ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურულ-სამეცნიერო მუშაკის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება ღრმად უკავშირდება საყვარელი ამხანაგის, დაუვიწყარი მეგობრის ასე უეცრად და სრულიად მოულოდნელად ჩვენი რიგებიდან წასვლით აღძრულ მწვავე და მტკივნეულ განცდებს.

მთელი რიგი წლების მანძილზე განუწყვეტელმა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობამ, სოციალისტური კულტურის სხვადასხვა ფრონტებზე დაუღალავმა საქმიანობამ, ახალი კადრების აღზრდისათვის, ქართული კლასიკური მწერლობის კრიტიკულად დაუფლებისათვის, საბჭოთა მხატვრული პრესისა და საგამომცემლო საქმის ახალ ამოცანათა სიმაღლეზე დაყენებისათვის დაუსვენებელმა და გატაცებულმა მოღვაწეობამ შეუჩნევლად მოქანცა მისი ორგანიზმი და სისხლის ჩქერს გზა გაუხსნა იმ ტვინისაკენ, რომელმაც მრავალი შრომებით გაამდიდრა და რომლისაგანაც კიდევ ბევრს მოელოდა ჩვენი მწერლობის და მეცნიერების ფრონტი.

ამ თვალსაზრისით სიმონ ხუნდაძე საამაყო მსხვერპლია იმ დიდი საქმისათვის ბრძოლაში დაცემული, რომელსაც ლენინური კულტურული რევოლიუციის გამარჯვება წარმოადგენს.

საქართველოში პროლეტარული დიქტატურის გამარჯვების შემდეგ კი მან თანმიმდევრული, გაბედული და უკან დაუხეველი მუშაობა გაშალა ამ მიმართულებით, რომელმაც არა მარტო საბოლოოთ დააშორა იგი ნაციონალისტურ-წვრილბურჟუაზიულ ბანაკს, არამედ საგრძნობლად ხელი შეუწყო ქართველი ინტელიგენციის მოწინავე, ფენების—საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებთან დაახლოვების საქმეს.

ასეთი მოღვაწეობის ლოღიკამ ამხ. სიმონი მიიყვანა რევოლიუციონური პროლეტარიატის ავანგარდის—კომუნისტური პარტიის რიგებამდე.

ამ დროიდან ამხ. სიმონის საზოგადოებრივ-ლიტერატურული და თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითად სფეროდ მან აირჩია ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია—განსაკუთრებით მე-19 საუკუნე, ეს მდიდარი და მრავალფეროვნად შინაარსიანი და ამავე დროს შეუსწავლელი და დაუმუშავებელი ეპოქა ქართული მწერლობის განვითარებაში.

ამხ. სიმონს მოუხდა დიდი მუშაობის ჩატარება არა მარტო კვლევის ობიექტად აღებული ეპოქის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ნათელი—გაშუქებისათვის, არამედ სრულიად ხელშეუხებელ მასალათა უშუალო წყაროებიდან შესასწავლად, ისტორიულ ფაქტების დასადგენებლად, მეცნიერული სისტემატიზაციისათვის აუცილებელი წინამძღვრების მოსაპოვებლად.

ამხ. სიმონი არ შეუშინდა ამ ორმაგი სიძნელისა და რთული წინააღმდეგობის ამოცანას. მისი მახვილი გონება, შრომის უნარიანობა და პროლეტარული სამეცნიერო კადრებისათვის დამახასიათებელი ენთუზიაზმი გატაცებით შეეტაკა არქივის მტვერს და მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული პიროვნება და ფაქტი ამ ლაბირინტიდან უშუალოდ ამოიტანა მარქსისტული მეცნიერების სინათლეზე.

იგი გასაოცარი სიყვარულით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით და დაუღალავი ენერგიით არღვევდა ბუნდოვანებების და გაურკვევლობას რკალს ჩვენი კულტურულ მემკვიდრეობის მიმართ. ნამდვილი შემოქმედებითი აღფრთოვანებით მუშაობდა ძველ ხელთნაწერებზე, პრესის მასალებზე და კვლევის ყოველგვარ წყაროებზე.

შრომის უდიდესი უნარისა, მეცნიერული პასუხისმგებლობისა და ერუდიციის გარდა ამხ. სიმონს ახასიათებდა მკვლევარისა და მოაზროვნისათვის აუცილებელი თვისება, გაბედული, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ფაქტების ემპირეაში იგი შედიოდა არა წინასწარ დადგენილი, უკვე ლიტერატურაში ცნობილი შეხედულებებით, არამედ გარკვეული მეცნიერული მეთოდის ნიადაგზე მდგომი, დამოუკიდებელი კვლევის, ახალი ახსნისა და გაშუქების წყურვილით, ამიტომაც იგი უსათუოდ იმსახურებს ორიგინალური მოაზროვნის საპატიო სახელს. მან მთელ რიგ ისტორიულ პიროვნებათა და პრობლემათა მიმართ შემოიტანა ახალი კონცეპცია, დამყარებული ფაქტების ზედმიწევნით შესწავლაზე, მეცნიერული ანალიზის უნარზე.

ამხ. სიმონის ნაშრომები: „ქართულ ინტელიგენციის პროფილები“ ცალკე ნარკვევები ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის და სხვათა შესახებ, უაღრესად მნიშვნელოვან შრომებს წარმოადგენენ ჩვენს ლიტერატურაში.

ცხადია სიმ. ხუნდაძეს არ შეეძლო უხვი და დაუმუშავებელი მასალის მოყვანა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებისათვის დამახასიათებელი მტკიცე წესრიგში. ამიტომ მთელ რიგ შემთხვევებში მისი ნაშრომები მოითხოვენ შემდგომ სისტემატიზაციას. ცხადია ისიც, რომ ამხ. სიმონის ამდენათ რთული და ნაყოფიერი მუშაობა დაზღვეული არ იყო შეცდომებისაგან. არ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში მისი მუშაობისათვის გარკვეული კვალი არ დაეჩნია ტრადიციას, მას იდეურ-პოლიტიკურ წარსულს. მაგრამ ამხ. სიმონს ქონდა უნარი საკუთარი შეცდომების გაგებისა და დაძლევის, იგი არ ჯიუტობდა შემცდარ შეხედულებებზე და ყოველ ახალ ნაშრომში იძლეოდა არა მარტო ერუდიციის გაღრმავების, მეცნიერული ზრდის მაჩვენებლებს, არამედ იდეური განმტკიცების, მსოფლმხედველობითი სიმაღლიდან მასალების დაუფლებას და წინა ეტაპზე დაშვებულ შეცდომათა დაძლევის ტენდენციას

განსაკუთრებით დიდია ამხ. სიმონის დამსახურება ქართველ კლასიკოსთა გამოცემის [illegible] ნინოშვილის და სხვათა გამოცემებს. მისი კომენტარიები, სარედაქციო შენიშვნები და წინასიტყვაობანი ქართულ კლასიკოსთა გამოცემებისათვის წარმოადგენენ აგრეთვე ძვირფას მასალას კლასიკური მემკვიდრეობის ლენინური დაუფლებისა და გამოყენებისათვის.

მაგრამ სიმონ ხუნდაძე მარტო წარსულით არ განსაზღვრავდა თავის ლიტერატურულ-სამეცნიერო საქმიანობას. იგი აქტიურად მუშაობდა მიმდინარე ლიტერატურულ ცხოვრების პრობლემებზე და ისეთივე მეცნიერული სიღრმით, ზედმიწევნითი ცოდნით არკვევდა საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებს.

მისი წერილები თანამგზავრობის პრობლემებზე, კრიტიკული ნარკვევები სანდრო შანშიაშვილის, მიხ. ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვათა შესახებ, სიმონ ხუნდაძეს უდავოთ აკუთვნებენ თვალსაჩინო ადგილს კომუნისტი კრიტიკოსთა მოწინავე რიგებში. ამ მხრივ მის უდიდეს უპირატესობას შეადგენდა მეცნიერული სიღრმე და ერუდიცია.

ამ რთული თეორიულ-კვლევითი და კრიტიკულ მუშაობას პარალელურად ამხ. სიმონი ეწეოდა უდიდეს პრაქტიკულ მოღვაწეობას სოციალისტური კულტურის მშენებლობის ფრონტზე. იგი განუწყვეტლივ მუშაობდა ახალი სამეცნიერო კადრების აღზრდის ხაზით. როგორც საუცხოვო ლექტორი, პედაგოგიური ღირსებებით და ორატორული [illegible] შესანიშნავი უნარით იგი ხელმძღვანელობდა ისტორიისა და ლიტერატურის ფაკულტეტს.

ამხ. სიმონი აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა მწერლობის ორგანიზაციის მიმდინარე მუშაობაში. იგი ხასიათდებოდა კოლეგიალური მუშაობისათვის საჭირო იშვიათი ადამიანური ღირსებებით ამხანაგებისადმი, სიყვარული და მზრუნველობა, უდიდესი ტაქტი და თავაზიანობა, პრინციპიალურ პოლემიკაში და საზოგადოებრივ მუშაობაში ყოველგვარ პირად დაინტერესებაზე მაღლა დგომა—მას ხდიდა საყვარელ ამხანაგად და მეგობრად, ყველასათვის, ვისაც კი მასთან საერთო საქმე შეახვედრებდა.

ამხ. სიმონი დაეცა ასეთ დიდ შემოქმედებით გეგმებისათვის მუშაობის პროცესში. მოულოდნელმა სიკვდილმა განუხორციელებელი დატოვა ყველა ეს მეტად საჭირო და სასარგებლო განზრახვა და ვინ იცის კიდევ რამდენი ფართო და ნათელი პერსპექტივა. მასალათა ცოდნის უდიდესი მარაგი, ლიტერატურულ-სამეცნ. მუშაობის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი მიაქვს სამარეში ამ იშვიათ ადამიანს, დაუღალავ მუშაკს, ნიჭიერ მკვლევარს.

ის საყოველთაო პოპულიარობა და სიყვარული, რომელიც დაიმსახურა სიმონმა თავისი [illegible] მოღვაწეობით და [illegible] ტურის მუშაკთა და პროლეტარულ საზოგადოებრიობის ფართო ფენებში — ჩვენი ეპოქის ლიტერატურის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის სიმონის ლიტერატურულ-მეცნიერულ შრომებს.

ეს არის საუკეთესო ნუგეში ჩვენთვის, სიმონის ამხანაგებისა და მეგობრებისათვის, რომელთაც დღეს განუსაზღვრელი მწუხარებით, გამოუთქმელ სევდით უნდა მივაცილოთ ჩვენთვის საყვარელ ადამიანის ნაადრევი კუბო მის ნაადრევ სამარემდე, რათა ხვალ სიმონისებური გატაცებით გავაგრძელოთ ბრძოლა სოციალისტური კულტურის განმტკიცებისათვის.

გამართლებული გზა

საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში დამყარების შემდეგ, ჩვენი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება ძირიან-ფესვიანად შეიცვალა; ძველ ცნებებს დაეკარგა ყოველგვარი შინაარსი და მიმზიდველობა, ახალს პირობებში ძველი გზით სვლა იმგვარადვე განწირული იყო, როგორც ოქტომბრის შემდეგ მთლიანად განწირული დარჩა თვით ძველი, ცარიზმის ნიადაგზე აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ჩვენი თაობის ინტელიგენციის ახალ ნაწილისათვის ეს ჭეშმარიტება პირველ ხანებშივე გასაგები შეიქნა, მაგრამ ყველა ჩვენგანი ვერ მივიდა ამ საკითხში იმ საბოლოო დასკვნებამდე, რომელიც სიმონმა გააკეთა.

რევოლიუციის განვითარების პერიოდში ჩვენ ვხედავდით, რომ ბევრი ტვირთის [illegible] გამხდარა და აქედან ერთი დაჟანგული ლურსმანის გადაგდებაც კულტურის დაღუპვათ ეჩვენება.

სიმონ ხუნდაძეც ისე, როგორც საშუალო თაობის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, ამ ძველი მემკვიდრეობის გადაფასების წინაშე იდგა და, უნდა ითქვას, არც ერთ ჩვენგანს ისე დროულად და ამასთანავე ისე გონივრულად არ გადაუჭრია ეს პრობლემა, როგორც ეს სიმონ ხუნდაძემ შესძლო: ის უყოყმანოთ ჩადგა კომუნისტური პარტიის რიგებში და, რაც მთავარია, მან მთელი თავისი ცოდნა და დიდი ერუდიცია, მთელი თავისი გონებრივი ტვირთით, ისე გადა[illegible] კომუნისტურ მსოფლმხედველობის ცეცხლზე, რომ სოციალისტური აღმშენებლობისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებშიაც თვალსაჩინო პიროვნება გახდა.

ბევრმა ჩვენგანმა, ვიმეორებ, ეს ვერ შესძლო, ზოგმა ეს ნაბიჯი გადასდგა, მაგრამ მას დასჭირდა სრულიად ახალი ცხოვრების თავიდან დაწყება, რამდენადაც მისი აზროვნების იარაღი გამოუსადეგი შეიქნა საბჭოთა პირობებში.

სიმონ ხუნდაძემ კი განაგრძო და ლოღიკურად ამთავრებდა იგი თავის გზას, დღითი-დღე ადიოდა რა მარქსისტულ მეცნიერების ახალ და ახალ სიმაღლეზე.

სიმონ ხუნდაძე დიდის პატივისცემით და მორალური ავტორიტეტით სარგებლობდა მთელ ჩვენს კულტურულ წრეებში.

ამ მხრივ სიმონი მართლაც რომ იშვიათი პიროვნებაა და ჩვენთვის, უპარტიო ჰუმანიტარულ ინტელიგენციის წარმომადგენლებისათვის, ის იყო და დარჩება, როგორც მეტად საგულისხმიერო მაგალითი.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი ღვაწლი დასდო სიმონმა ქართულ მწერლობას, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას, ქართულ ლიტერატურმცოდნეობას, მთელ საბჭოთა საქართველოს კულტურას თავისი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი შრომებით, თავისი ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობით.

ამჟამად ზოგი მისი ნაშრომი ბეჭდვის პროცესშია, ზოგი ჯერ კიდევ გამომცემლობათა პორტფელში ინახება სტამბის დაზგის მოლოდინში, უფრო მეტი დარჩა მას შინ, დამთავრებული და ჩვენთვის ჯერ უცნობი, გუშინ კი მოულოდნელმა სიკვდილმა გამოსტაცა მას ხელიდან კალამი და საუკუნოდ შეაწყვეტინა ფიქრი ახალი შრომების, ახალი პროექტების, ახალი იდეების გარშემო.

სიმონ ხუნდაძეს დარჩა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რამაც მჭიდროთ დაუკავშირა მისი სახელი საბჭოთა მწერლობას და სასიქადულო გახადა იგი მშრომელი ხალხისათვის, რამდენადაც სასიყვარულოა ამ ხალხისათვის თვით მწერლობა.

მაგრამ არა ნაკლებად ღირსეულია სიმონის ფიგურა, როგორც ისეთი ინტელიგენტის, რომელმაც სოციალური რევოლუციის პირველსავე წლებში რადიკალურად გადასჭრა თავისი ცხოვრება და აზროვნება, რომ სამუდამოდ გადახვეოდა მისი არსება სოციალისტურ საქართველოს ბედს, თავისი ქვეყნის ტკბილსა და მწარეს.

დღეს ამ ქვეყნის მიწა ჩაიბარებს სიმონ ხუნდაძის ცხედარს და უკანასკნელი ჩვენი გამოსათხოვარი სიტყვა მისდამი იქნება:

პატიოსანი რჩება შენი საქმე ქართული მწერლობის ისტორიაში და ქართული მწერლობა ისეთისავე სიყვარულით მოუვლის შენს ხსოვნას, როგორც შენ უვლიდი და თავს ევლებოდი მას შენი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში.

ნიკოლო მიწიშვილი

ლეო ქიაჩელი

კუზმა მრისხანე

ნოველიდან—მოულოდნელი განაჩენი

სოხუმის ნავთსადგურში ჩამომდგარი კრეისერ „შმიდტის“ მისაგებებლად წამოსულ ნავთა შორის მხოლოდ მოტორიანს მოჰყავდა რამდენიმე კაცი, დანარჩენებში მარტო მენიჩბენი ისხდენ. ამათ სტუმრები უნდა გადმოესხათ ნაპირზე.

მოტორიან ნავში იმყოფებოდენ: ქალაქის თავი სამსონ დავანაძე, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ნორიკ ეშბა და ხუთი მუშისაგან შემდგარი დელეგაცია, აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა რიცხვის მიხედვით შერჩეული.

სოხუმის დელეგატებმა უკვე შორიდანვე შეთვალიერეს სამხედრო გემი. ყველა გააკვირვა ერთმა გარემოებამ: ბორტზე კაცთაგანი ვერავინ ვერ შენიშნეს. მხოლოდ დაახლოვებისას და კარგა დაკვირვების შემდეგ მათ ძლივს გაარჩიეს ზარბაზნების ყელებსა და საფეხურებს შორის მიმალული ორი გუშაგის უძრავი სილუეტების ნაკვთები, რომლებიც პირველად ზარბაზნების ბრინჯაოს ნაწილები ეგონათ.

წინა რიგზე, ზარბაზნების ერთ მხარეს, პირველი გუშაგის რკინისფერი პროფილი დაინახეს, ნიკაპს ქვემოდან ბორტის მოაჯირით დაფარული, რომელსაც ცხვირის წინ მზეზე მოლაპლაპე თოფის ლულა ასვეტოდა. პროფილი ისე იცქირებოდა ქალაქისაკენ, რომ მის მხედველობის არეში უფრო ქალაქის შორეული ნაწილები იყვნენ მოქცეული, ვინემ ნავთსადგური და დელეგატების მოტორიანი ნავი.

ზარბაზნების მეორე მხარეს კი მეორე გუშაგის მხოლოდ ორი ნაკვეთი მოსჩანდა: ზარბაზნის ყელს ზემოდან — შუბლწამოხურული სახე შავ ღრუებში ჩამსხდარი თვალებით, რომლებიც ნავში მსხდომთ მაღლიდან ლარის სისწორით დასცქეროდენ. ხოლო ზარბაზნის ყელს ქვემოდან ამავე გუშაგის უჩინარი ტანის გვერდის ხაზზე, მარჯვენა ბარძაყის თავთან მიმაგრებული კუნთებდაჭიმული მკლავი და მუშტი, რომლებიც თოფის კონდახს მუხრუჭივით შემოკვროდენ.

ამ სანახაობამ დელეგატების სახეზე განსაკუთრებული, უსიტყვო გაკვირვება გამოიწვია, რომელშიაც გემის მოულოდნელი დისციპლინისადმი მორიდებიანი შიშიც იხატებოდა და ფარული ეჭვიც, ამ დისციპლინის ნამდვილ არსებობაში შეტანილი: იქნება, ეს განზრახ, ჩვენთვის, არის მოწყობილიო.

მაგრამ „შმიდტის“ მაღალი ფოლადისფერი კედელიც მალე აიმართა დელეგაციის წინ, და ნავიც დადგა.

უმალვე გემის ბანზე ჯაჭვმა გაიჩხრიალა და მაღლიდან რკინის კიბე დაეშვა, რომლის ბოლო საფეხური ზღვის ზედაპირს დაწვდა მომდგარი ნავის თავთან. არ გასულა ხანი, რომ კიბეზე შალვარ-გადმოშვებული ორი ჩექმა ამოძრავდა ერთიმეორის სწრაფი ცვლით და ნავის პირდაპირ საფეხურზე ორივე ერთად შედგა: — სოხუმის დელეგაციის წინ, კიბეზე დაბალი ტანის, მაგრამ მხარბეჭგანიერი მეზღვაური აიტუზა სამხედრო ყაიდაზე გამართული. მარჯვენა ხელის ჰაერში შესროლით სალამი მისცა ნავში მსხდომთ უსიტყვოდ, ტანის შეურხევლად და ყველას სათითაოდ თვალი შეავლო.

გულამოღებული ხალათი ეცვა განიერ შალვარში ჩატანებული, სახელოები მხრებამდე დახვეტილი. წელზე ფართო ქამარი ერტყა, რომელშიაც წინიდან ყელზე შავი თასმით შებმული ნაგანი ჩაერჭო. მზისგან დამწვარ ძვლებ-ამობურცულ ქოსა სახეზე შეუპოვრობის გამომხატველი იერი გადაკრავდა, ამჟამად დელეგაციის საპატივცემოდ შენელებული, წამოზნექილი გულმკერდი მთლიანად დატატუირებული ჰქონდა ვიდრე კუნძივით სქელ და დაბალ კისრამდე, რომლის ჩაყოლებაზე, მკერდის შუა ადგილას, ბეჭედივით წრეშემოვლებული ნამგალი და ჩაქუჩი აჯდა, ერთმანეთს გადაჭდობილი.

შეათვალიერა თუ არა მოსულები, ვინაობა ჰკითხა. პასუხი რომ მიიღო, ჯერ [illegible] გასინჯა, მერე ხმამაღლა თავისებურად განმარტა ისეთი რუსულით, რომელიც პირველ გაგონებაზე ნავში მსხდომთ გაუგებარ ენად მოეჩვენათ.

— მაშასადამე, სოხუმის პროლეტარიატი და მისი რევოლიუციონური ხელისუფლება... — დაასკვნა მეზღვაურმა და დელეგატები ერთხელ კიდევ შეათვალიერა.

შემდეგ რატომღაც სამსონ დავანაძეს შეხედა გამორჩევით და მის გრძელ წვერზე შეაჩერა [illegible] თვალები. ჰკითხა:

— თეთრგვარდიელები და სხვა ამისთანა არამზადები თუ გყავთ ქალაქში?

— ჩვენ ასეთ მხეცებს არ ვაშინაურებთ, ამხანაგო! არ გვყოლია, არ გვყავს და არც გვეყოლება! — ისეთი რიხით და გადამეტებულად მოწადინებული თავმოწონებით უპასუხა ქალაქის თავმა, რომ მეზღვაურის სახეზე ძალაუნებურად უნდობლობის ეჭვიანი ღიმილი გამოიწვია. ამ გარემოებამ შეხვედრას მოულოდნელად შეუცვალა ოფიციალური სახე: ამდენხანს მხედრულად გამართულმა მეზღვაურმა უცებ ტანი მოუშვა, გაღიმებულ პირისახეზე დამცინავი ნაოჭი აათამაშა და ტუჩების მარცხენა კუთხის მოჭიმვით უცნაური ტყაპანისებური ხმა გამოსცა ცალი თვალის მოცბიერო ახამხამებით. მერე კატის სიმარდით მოწყდა კიბეს და ნავში ჩახტა. ქალაქის თავს მარჯვენა ხელი მხარზე ფამილიარულად წაუთათუნა, მეგობრულად გაუცინა და შექებით უთხრა:

— აი, ყოჩაღ, რომ ჩვენიანი ყოფილხარ. ძალიან მომეწონე!

შემდეგ სერიოზული, საქმიანი გამომეტყველება მიიღო და ყველასადმი მიმართვით განაგრძო:

— ახლა კი მითხარით, რაკი ამხანაგები ყოფილხართ, ეს რა ამბავი გაგიმართავთ ნაპირზე და ისიც მუსიკით. ძალიან ბევრი ხალხია. დროშებიც ძალიან ბევრი ჰქონიათ, სულ წითელი, რევოლიუციონური...ა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ მეც და ამხანაგებიც დაგვაინტერესა ამ ამბავმა. მით უმეტეს, მე დღეს გემზე მორიგეთაგანი ვარ. ნება მომეცით გამოგეცნაუროთ: ვასილი ხრიტანიუკ, არტილერისტი. მეგობრები კი ვასკა-პირატს მეძახიან.



სამსონ დავანაძე აღარ იყო რიხიანი ლაპარაკისთვის განწყობილი. მეზღვაურის წეღანდელი მოპყრობა და საქციელი მის მიმართ დაცინვათ მოეჩვენა და ხალისი გაუფუჭდა. იმაზე ფიქრობდა, მართლა თუ შეუფერებელი იყო მისი რიხიანი პასუხი მეზღვაურის პირველ შეკითხვაზე. გონებაში „შმიდტის“ წითელი კაპიტანისათვის სათქმელად მოფიქრებულ სიტყვას სინჯავდა, კიდევ მარცხი რამ არ მომივიდესო, და ვასკა-პირატის უკანასკნელ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ნარიკ ეშბას დაუთმო.

— ქალაქ სოხუმის პროლეტარიატი — დინჯად და რუსულის ისეთი სწორი გამოთქმით დაიწყო უკანასკნელმა, რომ მეზღვაური გაკვირვებით შეაჩერდა სახეში, რუსი ხომ არ არისო, — შავი ზღვის რევოლიუციონურ კრეისერს „შმიდტს“ და მის გმირ მეზღვაურებს დღეს ზეიმით ეგებება, სასურველი სტუმრების მოსვლას დღესასწაულობს. ხოლო ჩვენ აქ იმისთვის მოვედით, რომ მთელი ამ კუთხის სახელით, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, გემის მთელ ხელმძღვანელობას და კერძოდ მის სახელგანთქმულ მეთაურს ამხანაგ კუზმას უაღრესი პატივისცემა და ძმური სალამი გადავცეთ. ამას გარდა დავალებული გვაქვს გთხოვოთ ჩვენს დღევანდელ მიტინგს მთელი შემადგენლობით დაესწროთ: მონაწილეობა მიიღოთ მასში და შემდეგ ამხანაგურ პურმარილზე გვეწვიოთ.

მეზღვაური მეტად კმაყოფილი დარჩა ეშბას ამ განცხადებით.

— რატომაც არა! ძალიან დიდი სიამოვნებითაც... ჰმ... შეიძლება, რასაკვირველია. — სთქვა და თავი უცბად მაღლა შეისროლა, ზურგისკენ გადაგდებით. თვალები გადიტრიალა და მოკუმული ტუჩებით ტყვიასავით გამოსროლილი ფსტვენის ბურთი გემის ბანზე შეაგდო.

— ჰეი, ვინ ხართ მანდ? სმენა და გაგონება! გადაეცით უფროსებს, რომ ქალაქი სოხუმის დეპუტაცია მოვიდა და მათ ნახვას თხოულობს თქვა. მოყვრები არიანთქვა. ზეიმიც და მუსიკაც ჩვენთვის არის ნაპირზე გამართული თქვა! ჰეი, არ გესმისთ, ჭიღყვავებო, რას დადუმებულხართ?

მაგრამ გემზე სიჩუმე მაინც არ დარღვეულა, თითქოს მეზღვაურის ძახილს ყურადღებაც კი არავინ მიაქციაო. მხოლოდ კარგა ხნის პაუზის შემდეგ ჯაჭვის კიბე ისევ შეჰქანდა და მის საფეხურზე ძალიან უცნაური სახის ადამიანი გამოჩნდა, რომლის სანახაობამ სოხუმელები მეტად [illegible]. მეზღვაური ვასილი ხრიტანიუკი კი, შეშინებული, უცბად ისევ ტანში გაიმართა მხედრულად, ყველა კუნთის ერთბაშად შეკვრით და ისე მიაპყრო თვალები კიბეზე ჩამომავალს, თითქოს სიტყვის წარმოთქმამდე მისი სურვილის შეტყობა სწადია, რომ უმალვე შეასრულოსო. სოხუმის დელეგატებსაც ძალაუნებურად მიებაძნათ მისთვის და კისერწაგრძელებულები ქვემოდან შესცქეროდენ უფროსის სიდინჯით ნელად მათკენ მომავალ საკვირველებას. ამათი შეიცების მიზეზი ის იყო, რომ იმ კაცის ერთ ტანზე ორ პირისახესა და სამ თვალს ხედავდენ სრულიად გარკვეულად. ნავს ორნაირი მიმართულებით დასცქეროდა: ერთთვალიანი სახით რომ დელეგატებს ათვალიერებდა, მეორე ორთვალიანი სახით ვასილი ხრიტანიუკს დასჩერებოდა რაღაც სასტიკი, რისხვიანი გამომეტყველებით, რომელსაც არ შეეძლებოდა შიში არ გამოეწვია. — შავი ქურთუკი ეცვა სახელოებზე ყაითან შემოვლებული, რომლის კალთის ქვეშ მარჯვენა გვერდზე მოგრძო ლულიანი რევოლვერი ეკიდა ზუდით. ნავს რომ გაუპირისპირდა შედგა.

— შენ რად ღრიალებ აგრე, ხრიტანიუკ, ბატისტერო! — შემტევი ხმით მიმართა მეზღვაურს. ცოტა ხანს შემდეგ კი უცებ ხმას აუწია და, თითქოს ტყვია სტყორცნაო დაამატა: —წესს არღვევ!

„უთუოდ ეს არის „კუზმა-მრისხანე“, ერთდროულად გაიფიქრეს სოხუმელებმა და მართლა შეშინებულები მის შესახვედრად შეემზადენ.

— ქალაქის დელეგატების მოსვლა მინდოდა მეცნობებინა.. გთხოვთ, მაპატიო, ამხანაგო უფროსო,—შემდრკალი ხმით უპასუხა მეზღვაურმა უფროსს დამნაშავის სახე უჩვენა.

უფროსმა ერთხანს კიდევ არ მოაშორა მას თავისი სასტიკი თვალები. მერე უცებ მთელი ტანით დელეგაციისკენ შემოტრიალდა, ცალი ხელი ქუდისკენ აისროლა და მოკლედ წამოიძახა:

— სალამი.

მისი ორთვალიანი სახე ახლაც ისეთისავე სასტიკ მრისხანებას გამოხატავდა, როგორც ამას წინად, როცა მორიგე მეზღვაურზე ჰქონდა მიპყრობილი, ხოლო მეორე, ერთთვალიანი იღიმებოდა, იცინოდა და დელეგაციის სახეზე პირველის მიერ აღბეჭდილ შიშიან გაოცებას ანელებდა.

სოხუმელები ნავის თავთან მიქუჩდენ. სალამზე სალამით უპასუხეს. პირმცინარენი მიუახლოვდენ.

მათ მხოლოდ ახლა გამოარკვიეს უფროსის გაორებული სახისა და გასამებული თვალების ნამდვილი ამბავი:—ეს იყო შედეგი დიდი, ღრმა და ძლივს შეხორცებული ჭრილობისა, რომლის მოწითალო კვალი მთელ სახეზე გადაუდიოდა ირიბად, მარცხენა საფეთქლიდან დაწყებული ვიდრე ნიკაპის მარჯვენა კუთხემდის. მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოს ერთი ნახევარი, შუაში გაჭრილ წარბს ქვეშ, ჩამოთლილი ჰქონდა და გაშიშვლებული კაკალის ნაწილი ამ ადგილას მუდამ ღია ცალკე თვალის შთაბეჭდილებას სტოვებდა მეორე ნაწილის გვერდით, რომელსაც ქუთუთოს ნაგლეჯი შერჩენოდა. ამ თვალიდან ჭრილობა ლოყას მიჰყვებოდა და ნესტო-ჩამოკვეთილ ცხვირთან, შუაში გადაჭრილ ტუჩებზე გადავლით, ნიკაპის მარჯვენა კუთხეში წყდებოდა.

სახის მთელი ეს კანშემოჭმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად უსასტიკეს რისხვის გამოხატულებას ატარებდა, წინააღმდეგ მეორე მრთელი ნახევრისა, რომელსაც მშვიდი, ღრმა და ხანდაზმულობის გონიერი იერით ამეტყველებული თვალი ამშვენებდა.

საერთო მისალმების შემდეგ უფროსს სიტყვით ქალაქის თავმა სამსონ დავანაძემ მიმართა, მან არსებითად იგივე გაიმეორა, რაც ეშბამ პირველ მეზღვაურს უთხრა. მხოლოდ განსაკუთრებულად აღნიშნა დელეგაციის დიდი სურვილი „შმიდტის“ წითელი კაპიტანის ამხანაგის კუზმას ნახვისა, რომლის შესახებ არა ერთი და ორი საკვირველი ამბავი სოხუმშიაც გაეგონათ. ([illegible] კი დაუმალა, რომ თვად იგი სწორედ კუზმა მრისხანედ ჰყავდა წარმოდგენილი).

— მე ვარ „შმიდტის“ წითელი კაპიტანი, ამხანაგი კუზმა, მრისხანედ წოდებული. ალბათ,—ეს სახელწოდება მტრებისაგან მაქვს შერქმეული. სამწუხაროდ, ახლა ამხანაგებიც ასე მეძახიან. თქვენც, ვფიქრობ, ამ სახელით მიცნობთ,—დაიწყო ორსახიანმა და სამთვალიანმა კაცმა ისეთი საამო ბოხი ხმით და ისე უბრალოდ, რომ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამას წინად მეზღვაურისადმი მიმართული შენიშვნის ავტორი ასეთი საამო, გულითადი ხმის პატრონიც ყოფილიყო.

— ამავე დროს მე ვარ კრეისერის ბოცმანთა რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარეც. მაქვს სრული რწმუნებულება ამ კომიტეტისაგან მისი სახელით გელაპარაკოთ. მოხარული ვარ თქვენი გაცნობის. მახარებს აგრეთვე თქვენი ქალაქის რევოლიუციონური განწყობილება და ჩვენდამი გამოჩენილი სიმპატია, რომელსაც ნაპირზე გამართული მიტინგი ამჟღავნებს. გარწმუნებთ, რომ ამ თანაგრძნობის ხიბლს ჩვენ, ბოლშევიკები, სათანადოდ და თავის დროზე დავაფასებთ. ახლა კი ნება მომეცით გაუწყოთ შემდეგი: ჩვენი კრეისერი ათ დღეზე მეტია, რაც ამ მხარეს იმყოფება რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს მიერ დავალებული ოპერაციების ჩასატარებლად. გარემოება გვაიძულებს კიდევ რამდენსამე ხანს დავრჩეთ ამ ადგილებში, რაც გათვალისწინებული არ იყო. სწორედ ამან გამოიწვია გემის თქვენს ნავთსადგურში შემოსვლა ორი-სამი საათით: თქვენს ქალაქში უნდა შევიძინოთ საჭირო სანოვაგე, რომელიც შემოგვაკლდა. ჩვენ გვაქვს თქვენებური ფულიც ასე რომ რასაც შევიძენთ, იმის ფასს ნაღდად გადავიხდით. რაც შეეხება მიტინგზე დასწრებას „შმიდტის“ მეზღვაურები სიხარულით მიიღებენ მასში მონაწილეობას, მით უმეტეს რომ მიტინგი ჩვენი გემის საპატივსაცემოდ არის მოწვეული—დაამთავრა ამხანაგმა კუზმამ და სახის მთელი ნახევარით ისე გულითადად გაუცინა სმენად გადაქცეულ დელეგატებს, რომ მათ სრულიად დაავიწყა სახის მეორე, მუდამ საშინელი ნახევრის არსებობაც კი.

გათამამებულმა სამსონ დავანაძემ ბოლომდის ვერ მოითმინა და მცირე ხნის გასაუბრების შემდეგ წითელ კაპიტანს გულახდილი ხუმრობის წესით უთხრა, რომ მისი სახის მარცხენა ნახევარმა, რომელიც უთუოდ არ შეეფერებოდა ბოცმანთა რევ. კომიტეტის თავმჯდომარისა და სახელგანთქმული კაპიტანის იშვიათ ინტელიგენტურ თვისებებს, მთელი დელეგაცია და პირადად ისიც მეტად შეაშინა პირველ დანახვაზე. ხოლო ახლა კი იგი ბედნიერია მით, რომ ეს შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, და მეტსაც [illegible] „მრისხანეც“, მართლაც, მტრების უსინდისო მიჭარვაა და სხვა რაფერი.

კუზმამ გაიცინა. მაგრამ ეს სიცილი უფრო გულმკერდის სიღრმიდან ისმოდა, ზღვის შორეული ბობოქარივით, ვინემ მის სახეზე იხატებოდა.

— ჭრილობაც მტრისაგან მჭირს.—მიუგო მან დავანაძეს, როცა სიცილიანი ყრუ ხმაურობა შეწყვიტა, და თითი ორთვალიან უძრავ სახეზე მიიდვა,—ამ სახეს მხოლოდ მტრებისათვის ვატარებ. წარმოიდგინეთ: მეგობრები ვერც ამჩნევენ მას. ძალიან კმაყოფილი ვიქნები თუ იგი თქვენი თვალების ნიშანს გარეშეც დარჩება.

ზეთები

მხატვრუ

ლ. გაბუქებული „წმინდა გასტრონომია“, რა-

ყძთაძფლობელ ინტელიგენტებისა. ტურ-

გენევი აღიარებდა, რომ მწერლის ამოცანას

რევოლუციურ ბრძოლისათვის

მსხვერპლის გაღებისა და თავგანწირვისა.

ალი არსენიშვილი.

ცქიტი.

ჩუდეცკის მკვლელი

(ნაწყვეტი)

... მეორე დღეს, როცა ყველანი ისხდნენ და გაკვეთილებს ამზადებდნენ, იოსებ ლალიაშვილი სულ უკანა პარტაზე იჯდა და წიგნს მუყაითად ჩასცქეროდა.

კლასში საერთო ბოხი გუგუნი წყნარად ისმოდა.

იოსები მარცხენა მკლავზე შუბლით დაყრდნობოდა და მარჯვენათი წიგნს ფურცლავდა. თან ჩუმჩუმად წინ იცქირებოდა.

პარტების წინ მაგიდასთან ზედამხედველი იჯდა და ისიც წიგნს ჩასჩერებოდა. მხოლოდ დრო გამოშვებით თავს მაღლა იღებდა და კუთხიდან კუთხემდე სწრაფად დარბოდნენ მისი თვალები.

იოსებმა კალამი მოიმარჯვა, პარტიდან რამდენიმე რვეული ამოიღო და ერთი სქელი რვეული გადაშალა და დარწმუნდა, რომ ზედამხედველი ისევ წიგნს ჩასციცებოდა, რვეულის დაწერილ მარცხენა მხარეს თხელი წიგნი დააფარა და მეორე, სუფთა ნაწილზე კალამი ოდნავ ააწრიპინა:

„ინსპექტორის, დემურჩოლბის, პიველ ჯაშუშს, თინიევს არავინ არ ეკარება, როგორც ქეციან ძაღლს".

იოსებს კიდევ რაღაც უნდა ჩაეწერა, მაგრამ წინ სკამმა გაირახუნა და იოსებმა მარჯვნიდან-მარცხნივ თვალები გააყოლგამოაყოლა, თან ბუტბუტს მოჰყვა, ვითომ კითხულობდა.

ამ დროს შუარიგ პარტიდან ერთ-ერთმა ამხანაგმა თვალი ღიმილით ჩაუკრა, მეორემ კი ზურგს უკან ხელი მოიმარჯვა და დაუქნია.

— ხახუტოვ, გამილეტიკის წიგნი შენა გაქვს? მოვალ და ერთად ვისწავლოთ.— ლალიაშვილმა ეს ხმამაღლა სთქვა, რომ ზედამხედველს გაეგონა, ადგილიდან თუ რისთვისაც დაიძრა.

ზედამხედველმა იოსებს თვალებში შეხედა და რაკი კრინტი არ დასძრა, ეს სიჩუმე თანხმობის ნიშნად მიიღო, თავის წიგნები დაკეცა, პარტაში შეაწყო და ამხანაგებისაკენ გაემართა.

ამხანაგებმა წიგნის ფურცლები მარცხენა გვერდიდან უკან, მარჯვნივ გადაშალეს, ვითომ ამხანაგის გულისათვის გაკვეთილის სწავლას ისევ თავიდან შეუდგნენ და ერთ-ერთი მათგანი უფრო ხმამაღლა ადუდუნდა.

მათ წინ მხარბეჭიანი მოწაფეები ზედამხედველისაგან კარგად იფარავდენ, მაგრამ მაინც სიფრთხილე იყო საჭირო და წამკითხველი კიდევ ორიოდ წუთით გამილეტიკიდან რაღაცას დუდუნებდა.

— აი, ბიჭო, დახე ამ ჯაგარს. ეს ჩუდეცკის წვერების ნაგლეჯია, ჩაილაპარაკა ჩუმად ისევ იმ წიგნის მკითხველმა, პარტის ქვეშ ხელი გააცურა და ქაღალდში გახვეული ჩუდეცკის ბალნები იოსებს აჩვენა. იოსებს სიცილი აუტყდა.

— ვინ მოგცა, კაცო! მართლა და იმის წვერულვაშის ფერია!

— ჰო, ჰო, ბიჭო! გუშინ ჩოჩქოლის შემდეგ იმ ალაგს ვეძგერეთ, სადაც ჩვენმა დევგმირმა ჩუდეცკი მაგრა დაზილა. ისეთი იყო იქაურობა მთლად მოფენილი, თითქოს ძაღლი გაუკრეჭიათო.—ხითხითებდა ჩუმად ილიკო და თან წინ მჯდომ ამხანაგის ზურგს თავს აფარებდა.

— ხელად წამოვკრიფე და შევინახე.— სიცილითვე განაგრძო სიტყვა მეორემ და უმალ ისევ წიგნს ჩააცქერდა, თან ხმას აუმაღლა, თითქოს შეამჩნია, რომ ზედამხედველი იმათკენ იცქირებოდა.

რად გინდა, ბიჭო, სახსოვრად ხომ არ ინახავ?—ჩაეკითხა ჩუმად ლალიაშვილი, როცა ზედამხედველმა თავი ისევ ჩაღუნა და წიგნს ჩააცქერდა.

სახსოვრად კი არა, უნდა გაუგზავნოთ, კაცო, იმის დოვლათია და რად უნდა დაკარგოს?!

ამხანაგებმა სიხარულით გადაიხუვიტეს, რომ ერთი ზედმეტი მახვილი ჩუდეცკისათვის კიდევ ჩაეცათ.

ხელად კონვერტი გამონახეს, მისამართი დააწერეს, და მათ წინ სუფთა ქაღალდი ორიგინალურ რედაქციას ელოდა.

უცებ ილიკოს სახეზე სიხარულის ღიმილმა გადაჰკრა, მან კალამს ხელი დაავლო, ერთი სტრიქონი ქაღალდზე შავად გააჭრელა და თვითონვე აღტაცებულმა ამხანაგებს წინ დაუდო.

— აჰა, ძმაო, წაიკითხეთ. ამაზე კარგი რა გინდათ?!

ჩაიკითხეს ორივემ და შემდეგ სამთავე ერთად უცებ წაითითლდნენ, სამთავეს ცხვირზე და თვალებთან მრავალი ნაოჭი გაუჩნდათ, თვალები ჩახუჭეს და ჩუმად ხითხითს აჰყვნენ.

— ბიჭო, რა კარგად მოიგონა, ამ რჯულძაღლმა—კვდება სიცილით ლალიაშვილი და თან ამხანაგის ზურგს ეფარება.

წინა პარტაზე მსხდომ ამხანაგებს ძლიერ უნდათ უკან მიიხედონ, იმათაც გაიზიარონ მათი მხიარულება, მაგრამ ზედამხედველი საიდანღაც მოსმენილ ფრუტუნზე, თავში ჩაკრულ ბუსავით, აქეთ-იქით იბღვირება, ხოლო ამ დროს წინა ამხანაგები უფრო იძაგრებიან, ფართოდ სხდებიან, მხარბეჭს ისწორებენ, რომ უკან გამხიარულებული „კამპანია" კარგად დაჰფარონ.

— რა მშვენიერია, რა კარგია! მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ცხოვრებაში ერთხელ აზრიანად გამოვიყენებთ იმას, რითაც ათი წლობით ტყუილუბრალოდ თავს გვილაყებენ.—ხითხითებს იოსები. ჩაღუნულ თავს სიამოვნებისაგან ნელა არხევს და მეორე ამხანაგს მიმართავს:

— ბიჭო, მედუზა! ეს ეხლა ბეჭდური ასოებით უნდა დასწერო, თორემ ხომ იცი, ძაღლები არიან, ნაწერს გამოიძიებენ და და ერთ ცოდოს კიდევ დაატრიალებენ.

მედუზად წოდებულმა ამხანაგმა სუფთა ქაღალდს ხელი დაავლო, ეს სიტყვები როგორც მძივები ისეთი ბეჭდურით ჩააწიკწიკა, გაამშრო, შიგ დეკანოზ ჩუდეცკის ბურტყლები კონტად გამოახვია, კონვერტში ჩადო და გაამზადა.

— ბიჭებო, რა კაი დროს მიუვა! დღეს და გუშინ ნაცემ ძაღლივით ეგდებოდა, ამ უსტარს არ გადასცემდნენ—შეწუხდებაო და ხვალ კი მაგრა იქნება...

— რა გულდასმით წაიკითხავს!!!.

— ჰო და, უყურე ახლა! მგონი სიბრაზით რაც ბალნები შერჩა ახლა თვითონ დაიგლიჯოს!—ჩუმჩუმად ოხუნჯობენ ამხანაგები. ამ დროს ერთ-ერთმა წინა პარტაზე მჯდომმა სემინარელმა ზურგთ უკან ხელი სიფრთხილით გამოიწოდა და ოთხად დაკეცილი ქაღალდი უჩვენა.

ჩამოართვეს... სამთავემ გაშლილ ქაღალდს თვალი ერთად გააყოლეს და სამთავეს სახეზე ღიმილი უმალ ჩაუქრათ.

— რა გაცინებთ თქვე სალავათ ძაღლებო.—სწერდა მათ მაღლაკელიძე.—ჩვენი დევგმირი დღეს სასწრაფოდ გაუსამართლებიათ. და სამი წლით ხარკოვის გამასწორებელ რაზმში ჰგზავნიან. საწყალი მისი დედა და ძმები! იმას ისე სწრაფად გზავნიან, ვერავის ნახვას ვერ მოასწრობს. რასა ფიქრობთ? ფულისა და სურსათის მოგროვება ხომ საჭიროა, ისე ვერ დავტოვებთ?!

— ჩორტ ეგო ზნაეტ, რა ტყუილად დაღუპეს საწყალი ბიჭი!—ჩაილაპარაკა დაღონებულმა მედუზამ.

ლალიაშვილი კი წამოდგა. წიგნს ხელი წამოავლო, შემდეგ ისევ დაღუნა და სახე შეცვლილმა ამხანაგებს ჩასჩურჩულა:

— ჰო, მართლა, არ დაგავიწყდეთ, ხვალ პარასკევია. კუკიაში უნდა შევიყარნეთ. ალბათ პირველად მაგაზე გვექნება ლაპარაკი.

შეწუხებულმა იოსებმა ამხანაგები დატოვა და ისევ თავის ალაგს დაბრუნდა.

იოსები ისევ წიგნებს ჩაუჯდა. ჯერ ერთი წიგნი ამოიღო, გადაფურცლა, ზოგ ადგილებზე შეჩერდა, შემდეგ მეორე და მესამესთან ერთად თავისი დღიურიც ამოაცოცა. წინ გაიხედა. შემდეგ აქეთ-იქით ამხანაგები შეათვალიერა და კალამს ხელი წამოავლო:

„მე, შამატოვი, ჩიქვილაძე, მატვიევი, ხახუტოვი და უზნაძე ვიყავით კრებაზე კუკიაში იოსები".

„ამ ჯოეში კვირაში ორჯერ უნდა ვიაროთ, სამშაბათობით და პარასკეობით" — ჩაიწერა მან თავის დღიურში და ისევ დაკეცა.

იოსები გარინდდა და ფიქრს მიეცა. კრებებზე ფიქრობს იოსები, იმ საიდუმლო კრებებზე, სადაც მას პირველად თვალები აეხილა, იმ კრებებზე, რომელთა წყალობითაც მან მთლად შეიცვალა თავისი მსოფლმხედველობა და გრძნობანი.

ეხლა იგი სულ სხვაა. აქამდე ლმობიერებით ალსავსე გული, მოკრძალებული და თვინიერი—თითქოს გაკაჟდა, თავით ფეხამდე სიმტკიცით აღიჭურვა და გათამამდა.

იოსებს გაახსენდა წარსული კრება. მიხა ჩოდრიშვილის სახლში იყვნენ. თვალწინ ნათლად წარმოუდგა ეს პატარა, უსწავლელი მუშა, რომელმაც ძლიერ გააკვირვა იოსები თავისი გამბედაობით, დაუძრეტელი ენერგიით და თავგანწირვით.

ეს ის მიხა ჩოდრიშვილი იყო, რომელმაც პირველად უშიშრად თავს იდო მუშათა კრებების მოწყობა, თბილისის ქარხნების რამდენიმე მუშა ამხანაგს თავი მოუყარა, გააბა მათთან მუდმივი კავშირი, ფარული სამკითხველოები დაარსა და გათვითცნობიერებულ ამხანაგებთან ერთად მედგრად ექვეთა დაუნდობელ ქექარხნეებს და იწყო ბრძოლა გაფაციცებით. დღეს მიხას ხის საბეჭდი სტამბაც აქვს არქიელის ქუჩაზე, სადაც გოლა ჩიტაძე სცხოვრობს.

ვინ იცის რამდენი დარგის მუშები არ იყრიან თავს ჩოდრიშვილის სახლში: დურგლები, მეჩექმეები მეეტლეები, მხერხავები, სტამბის მუშები და ფოსტა-ტელეგრაფის მუშა მოსამსახურენი.

გოლა ჩიტაძე თავისი ამხანაგებით სამშაბათ-პარასკევობით დადიან მათთან და მუშათა ცხოვრების შესახებ ჩერნიშევსკის და პისარევის თხზულებიდან უკითხავენ და უთარგმნიან.

წარსულ კრებაზე გოლა ჩიტაძემ დიდებული ორატორობა გამოიჩინა. იგი ისე დამაჯერებლად, ისეთი დიადი გრძნობით ლაპარაკობდა დაბეჩავებულ მუშათა ყოფაცხოვრებაზე, რომ იოსებს ტანში ჟრუანტელი უვლიდა, გულიც შეეკუმშა და ის ტერორისტული აქტი, რომელზედაც გოლა მას დაჟინებით ელაპარაკებოდა, ისე მძიმედ აღარ მოეჩვენა.—თქვენ იცით, ამხანაგებო მაგ კაციჭამია და ღვარძლიან ბობოლა ბატონების გულქვაობა სადამდე მიდის?

ახლო წარსულში ანანოვის ქარხანაში ზეთის ჩამსხმელი თექვსმეტი წლის ბიჭი მანქანამ უეცრად ჩაითრია და ნაკუწ-ნაკუწად დაგლიჯა. მისი სხეულის ნაფლეთები ძლივს შეაგროვეს, ერთ ყუთში ჩადეს და როდესაც დამწუხრებული, მწუხარებით ატაცებული, თმა აბურძგნული გლეხი შვილის დასამარხავად ჩამოვიდა და ქარხნის წინ თავსა და პირში წაიშინა, მექარხნემ თუმანი შესთავაზა და უთხრა: „აქ რაღას ტირი, აი ფული, წადი და დამარხეო".

ერთი მითხარით, რას გამოელით იმათგან, რას მოგცემთ თხოვნით, თუ გინდ მოთხოვნით, თუ სხვა საშუალება არ გამონახეთ?! არა, ამხანაგებო, ძალა ძალას უნდა დაუპირდაპიროთ, სისხლით სისხლი უნდა მოვბანოთ, და აი მხოლოდ მაშინ მივაღწევთ ჩვენ საწადელს.

მთლად ფიქრად იქცა, დიდხანს თავი ჩაღუნული ჰქონდა, მაღლა აღარ აუწევია. გოლას ხმა ყურში მკვეთრად ჩასძახოდა და მის თანხმობას კვერს უკრავდა.

ქვეთა პარტას იქით, მარცხნივ ერთ-ერთ ვიწრო ნაცრისფერ თვალებიანი, ქერა თმიანი და სახე ჭორფლიანი სემინარელი დროგამოშვებით ალმაცერად გამოხედავდა, ზარის დარეკვაზე ყველამ წიგნები და რვეულები პარტებში შეაწყვეს და ჩაის დასალევად გასასვლელ კარებს მიაშურეს.

იოსებიც ანგარიშმიუცემლად წამოიწია, მექანიკურად თავის წიგნებს ხელი დაავლო და პარტაში შეაწყო.

ჭორფლიანმა ქერამ იოსებს კიდევ გახედა. ლალიაშვილს ხელში არაფერი ეჭირა. ჯაშუში სემინარული მოწაფეთა ტალღას აივანზე თან გამოჰყვა და კიბის მოსახვევში ყველას ჩამორჩა.

შემდეგ აქეთ იქით გაიხედა და დარწმუნდა, რომ გარშემო აღარავინ სჩანდა, პირი ისევ კლასისაკენ იბრუნა.

თვალის დახამხამებაზე იოსების პარტას წინ გაჩნდა და მის რვეულებს ეძგერა. გადაშალა ერთი რვეული, მეორე შემდეგ წიგნში ჩადებულ რვეულის ყდის ფერს თვალი მოჰკრა, რვეული ხელად გამოაძრო, დანარჩენები ისევ მწყობრად შეალაგა და კარებს უკან მიიმალა.

ნიკოლო მიწიშვილის წერილის დასასრული

ამ საქმეს საქართველოში ერთგვარი შეუფასებლობის დაღიც აჩნია. აქ კი მეტი საფრთხეა ქართული მწერლობის ნორმალური წინსვლისა და განვითარებისათვის, ვიდრე პირველი შეხედვით იფიქრებს კაცი.

სხვა რესპუბლიკებზე გარკვეულად ვეროფერს ვიტყვი, მაგრამ მართებული იქნებოდა, რომ ეს საკითხი მთელი სერიოზულობით დასმულიყო ჯერ საქართველოში და შემდეგ ის საკავშირო მასშტაბითაც ყოფილიყო გამოტანილი.

რამდენადაც საკითხს ეხლა ტემპები სწყვეტს, ეს სუსტი ტემპი განსაკუთრებით დამაფიქრებელია საქართველოს პირობებში, როგორც ახალი კადრების გამოზრდის, აგრეთვე მოქმედი მწერლობისათვის სათანადო შემოქმედებითი პირობების შექმნის მხრივაც.

არსებული მდგომარეობა ამ სფეროში რადიკალურად უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება ქართულ ხელოვნების და კერძოდ მწერლობის განვითარების საშიშ დისპოპორციასთან და ამის გამოსწორებას კი დასჭირდება წლები.

უნდა მოეღოს და ეს საკითხები უნდა სწყდებოდეს არა ამა თუ იმ პიროვნების სურვილის და მიხედვით, არამედ ფართო სახელმწიფოებრივი ღონისძიებათა ნიადაგზე.

სოციალიზმის მწერალი, როგორც შემოქმედი, წინ უნდა უძღოდეს ეპოქას, ყოველ შემთხვევაში ის ეპოქასთან ერთად მაინც უნდა მიდიოდეს. და მწერალმა რომ ეს როლი შეასრულოს, ამისათვის მარტო ზეგარდმო ნიჭი არ კმარა. ამისათვის საჭიროა კიდევ სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა, ცოდნა და გაშლილი ჰორიზონტი, ეპოქის ადამიანებთან და საქმეებთან კონტაქტი. მწერალს უნდა მუდმივი სწავლა და შემოქმედება. ესაა მისი საზოგადოებრივი მოვალეობის (ძირითადი ფუნქცია, თუ ერთად ერთი არა. მაგრამ კერძოდ ქართველ მწერალს ამ გზით ბევრი დაბრკოლება უდგას წინ. აქ მას უნდა მოეხმაროს სახელმწიფო, ორგანიზაცია, კოლექტივი.

ჩვენ გვინდა ვიცნობდეთ საკუთარ ქვეყანასაც, მოკავშირე რესპუბლიკებსაც, დასავლეთსაც, ძირს პროვინცია!

5

რა უნდა ითქვას ნაციონალურ მწერლობის საგამომცემლო პერსპექტივებზე და საერთოდ ნაციონალურ ენებზე წიგნის საკმაო ფონდის შექმნაზე?

მოკავშირე რესპუბლიკებში ამ მიმართულებით გაცილებით უფრო მაღალი ტემპი და მეტი ინტენსივობაა საჭირო.

საქართველოში, უნდა ითქვას, რომ გამომცემლობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე აქტუალური მწერლობის მოთხოვნილებას, ხოლო თარგმნილი და კლასიკური მწერლობის არსებული ფონდი, მეტი რომ არა ვსთქვათ, ძალიან უმნიშვნელოა, თუმცა უდავოა, რომ საბჭოთა წლებში ჩვენ გვაქვს წარმოუდგენელი მიღწევები. მაგალითად, საქართველოში სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ ათი საბჭოთა წლის განმავლობაში უფრო მეტი ქართული წიგნი დაბეჭდილა, ვიდრე პირველი ქართული წიგნის გამოსვლიდან—1629-1921 წლამდე).

მიუხედავად ამისა, მაინც ითქმის, რომ ზოგ შემთხვევაში კლასიკური მწერლობის გამოცემის მხრივ, განსაკუთრებით თარგმნილი მწერლობის, საქართველოში ასი წლით და ზოგჯერ მეტით ვართ ჩამორჩენილი და საგამომცემლო პოლიტიკის ხელმძღვანელებმა საქართველოში ეს უნდა გაითვალისწინონ, გვინდა, რომ ქართველმა მკითხველმა ქართულ ენაზე საჭირო კულტურა და განათლება შეიძინოს.

რომ საქართველოში თუნდაც მკითხველთა ერთი კონფერენცია ჩატარებულიყო ჩვენს ყრილობასთან დაკავშირებით დავინახავდით მეტად არა სანუგეშო სურათს და ეს მით უმეტეს იქნებოდა სამწუხარო, რომ საქართველოს პირობებში შესაძლებელია მხატვრული მწერლობის მეტ რიცხობრივ და ხარისხობრივ სიმაღლეზე აყვანა.

თუ 1926—27 წლებში ჩვენ შეგვეძლო დაკმაყოფილება არსებული ტემპებით ამ დარგში, რადგან ტემპების უნახველებს გვიკვირდა ჩვენივე მიღწევანი, დღეს ასეთი მდგომარეობის დატოვება აღარ შეიძლება.

უნდა დაისახოს სამხატვრო ლიტერატურის ყველა დარგთა გამოცემის ფართო გეგმა, რომელიც განხილული იქნება საბჭოთა საზოგადოებრივობის მიერ და ეს გეგმა ზუსტად უნდა ხორციელდებოდეს წლიდან-წლამდე.

ასეთი დიდი, ვიტყოდი—უდიდესი მასშტაბის კითხვა არ შეიძლება არ დაისვას ყველგან, სადაც ნაციონალურ კულტურა და მწერლობის შესახებ იქნება ლაპარაკი და ამ მხრივ შეიძლება პირველ ყრილობასაც დიდი სარგებლობა მოეტანა ჩვენთვის.

6

თანამედროვე რუსული კრიტიკის სისუსტის შესახებ ბევრი დაწერილა საკავშირო პრესაში. მაგრამ ვინ იცის რა მდგომარეობაა კრიტიკის ფრონტზე დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში. ხშირად აქ რუსულად ცუდი ნათქვამის სხვა ენაზე გაფუჭებულ გამეორებასთან გვაქვს საქმე და ძნელი არაა წარმოვიდგინოთ თუნდაც იმავე ქართველი მწერლის განწყობილება, როცა იგი ხშირად ასეთი სტილის კრიტიკის ობიექტი ხდება.

მწერლობის განვითარების და ახალი კადრების აღზრდის საქმე რესპუბლიკებში დიდადაა დაკავშირებული კრიტიკის ავკარგიანობასთან, მის პრინციპიალობასთან.

ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ნიუანსებით ვითარდება და სრულიად არაა სავალდებულო პილნიაკის „წითელი ხე" ასეთივე სახით უსათუოდ მოიძებნოს საქართველოში მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ხე როდესღაც პილნიაკის ბაღში გაიზარდა.

ნაციონალიზმი ყველგან ნაციონალიზმია, ბურჟუა—ყველგან ბურჟუაა, და კულაკი—ყველგან კულაკი, მაგრამ მნიშვნელოვანია აგრეთვე, რათა მწერლობამ მოგვცეს მათი გამოვლენის თავისებური ნიღაბი და კრიტიკამაც გაარჩიოს ეს თავისებურებანი.

ჟურნალ „ლიტერატ. კრიტიკ"-ს ფართო ასპარეზი აქვს. მას შეუძლია ერთგვარი რეგულიაცია გაუკეთოს ადგილობრივი კრიტიკის ექსპანსიას; ეროვნულ რესპუბლიკების კრიტიკამ კი ზოგჯერ ეს ასპარეზი უნდა შემოიზღუდოს და როცა ადგილობრივ მწერალს არჩევს, უმჯობესია სხვისი სათვალეები მოიხსნას და უცხო მოდელსაც თვალი მოაშოროს.

7

რასაკვირველია, შეიძლებოდა კიდევ მრავალი სხვა საკითხის დასახელება და გამოტანა და, უეჭველია, საკავშირო ყრილობაზე ამის შესახებ ბევრი ითქმება. ამჟამად კი მე დავამთავრებ ამ წერილს და ხაზს გაუსვამ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ მოუგვარებელია მრავალი ორგანიზაციული ხასიათის საკითხი, კერძოდ ორგკომიტეტსა და რესპუბლიკანურ ლიტერატურულ ორგანიზაციათა ურთიერთობაში.

ზოგჯერ ეს ორგანიზაციული საკითხები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ზემოთ ჩამოთვლილ სულ სხვა კატეგორიის საკითხების დამუშავებისა და გადაჭრის დროს. ვფიქრობ, სათანადო თათბირზე ყრილობის დროს ეს ორგანიზაციული საკითხებიც გამოიწვევენ კავშირში შემავალ სხვადასხვა ეროვნებათა მწერლობის წარმომადგენლების მხრივ მრავალ საფუძვლიან შენიშვნებს.

აი, დაახლოვებით ის, რაც შეიძლებოდა ოქმულიყო—საკითხის დაყენების წესით — წერილის სათაურში აღძრულ თემის შესახებ.

8 აგვისტო 1933 წ.

გიორგი კაჭახიძე

მგზავრობა ორის

იანვრის ღამე მკრთალი და ცივი
მოსდევს ფიქრივით ვაგონის ფანჯრებს;
გიყურებს,—ტკბები,—და მგზავრის ძილით
ცდილობს როგორმე თვალებში ჩაჯდეს.
მაგრამ ჯიუტი თვალები შენი
არის შემტევი, ვრცელი და წმინდა.
მგზავრთა ხმაურში, ოცნებას რჩები
მოიერიშე ფიქრების ტყიდან.
და ვერ ისვენებ... ვრცელია ღამეც,—
გზაზე იფიქრე, რამდენიც გინდა.
გული აავსებს სურვილთა ხრამებს.
გადმომზირალი გონების მთიდან.

მატარებელი მინდვრებზე მარდობს,
ფრთხილი,
ფანჯრებით ლიანდავს სინჯავს.
დილით ვუმზერდი ზღვასა და ბათომს
და იდგენ პორტში გემები დინჯად.
და საუკუნის თვალები ბრძენი
თითქოს აქ იყვენ წარსულის დარდად:
მძიმე, ხმიან და მარად ვრცელი
ზღვა საოცრების სიმღერას გავდა.
სდუმდა შიშველი ქალაქის ბაღი,
პალმებს ფარული დარდები ფლობდენ,
დღე იყო სუფთა, და თითქოს გაღმით
ნისლი ეხურათ შავი ზღვის პორტებს.
ხმა მეძლეოდა გარემოს ქების,
ტკბილად მინდოდა მემღერა რამე.
შორს მიდიოდა საზარგო გემით
მანდარინებით მდიდარი მხარე.

ღამით ვტოვებდი ზღვასა, და ვხალვლობ.
მთვარე წყალს სჭრიდა სხივების ჩანგლით.
იყო სიწყნარე და კიდევ ახლო,
ჩაის ბუჩქებში მწოლარე ჩაქვი.
აჭარის ფიქრით მოვყვები ვაგონს,
ვიცი არ მოვა ამაღამ ძილი.
ღამე ვრცელია, იმღერე, კარგო;
დედა ქალაქში ვიქნებით დილით.

ვტოვებთ სადგურებს. ჩქარია წინსვლა...
ახლა ჩავუვლით მდინარის ჯებირს;
მარცხნივ გახედავ სივრცეს, და ძლივსღა
შორს გამოჩნდება სოფელი ჩემი.
იქ ცხოვრობს დედა, ოჯახის ბოძი,
ყოველ საქმესთან მიმსვლელი რიხით.
წელს შეაწერეს საკმაოდ ხორცი,
დამზადებაა, და იგიც იხდის.
და წინანდელურად არ ყიდის ძროხას,
არც უსინდისოდ ეპყრობა ქათმებს.
ილის სიძხელეს არ შველის ოხვრა,
არამედ- ჯანი, გული და საქმე.
შვილივით უვლის პატარა მოზვერს,
უნდა როგორმე გახადოს ხარი;
ესლეს ტრაქტორებს თამამი მოძმე
და გაუმაგროს კოლექტივს მხარი

ვტოვებთ სადგურებს. ჩქარია წინსვლა...
ჩვენც გავუსწორდით მდინარის ჯებირს;
ახლო ტყეა, და ტყის იქით ძლივს-ღა
ჩანს სიშორეში სოფელი ჩემი.
მე მას ვნახულობ, ლამაზო, ხშირად.
შეჩვეული ვარ, არც მინდა დავთმო.
ეზო იმშვენებს ტანმაღალ ჩინარს,
სადაც დედაა და ხსოვნა ფართო.
მიყვარს სიმწვანე, არტელი გამრჯე,
და შავი მიწა გამბალი წვიმით.
თუ საჭიროა, მოვიხმარ მარჯვენს,
გავყვები ხალხს და გავთოხნი სიმინდს.
გულს გამიხარებს ნაშრომის ხვავი,
წყაროს წყლის სიტკბოს მაგებებს ჰიჭა,
ძროხა მომასმენს მინდვრიდან ბღავილს
და დამანახვებს გატენილ ჯიქანს.
მე ვიტყვი რამეს...
გიბრწყინავს თვალი
რაღაც მიწიერ გრძნობებში სახლობ.
წარმოდგენებით ხალისობ ქალი,
დაბადებული ლანჩხუთის ახლო.
შენც გიმღერია უთუოდ ცისქვეშ,
გურიის ცისქვეშ დღეები ჩვენი;
დაგიძლევია წიგნების სისქე
და სილარიბე ავი და ჭრელი.
ახლა მგზავრი ხარ.
ქალაქის სახით,
გინდა ცხოვრების გონება ხახო.
თან მოგსდევს ფიქრი პატარა სახლის,
დღეს რომ დატოვე [illegible] ახლო.
იქ დაგრჩა ყველა, ვინც გიყვარს გულით
მოხუცი ბაბუ, დედა თუ მამა;
მათი ავკარგი, ალალი პური
და მეზობლებთან შრომა და გავლა.
ალბათ იქ ახლა ჯავრობენ შენზე,
გზას რომ ფარავ და კერას წინ არ ხარ.
რას იზამ, კარგო!—სიხარულს შესძენ,
თუ უხიფათოდ ქალაქში ჩახვალ.
მატარებელი შეჭრილი მთებში
უღელტეხილის სივრცეებს არღვევს.
გზას ორთქლმავალი მისდევს და ხვნეშის,
და უქანებს გორაკებს მაღლებს.
რა დიდებულად გვიყურებს ზეცა,
თითქოს გამხდარა ქედების სარკედ.
ავი ჩანჩქერის სიმარდეს კვეცავს
კლდის ლოდები. და არ არის ვაკე.
ნეტავი, იყოს ფანჯრები სუფთა,
არ ედოს ფერი უგვარო ნისლის.
თვალს გამიხსნიდა ბუნების სუნთქვაც
და გულს საამოდ უკბენდა სისხლი.
არაფერია...
იგონებ ქალაქს. ჩ
გარედ ყინვაა და მთვარე ბადრი.
გაგბრწყინვებია გონება მზისებრ.
მოგეცეს ლხენა, ქება და ჯანი;
და ეს ჰკვიანი ქალური თვალი.
და გაუტეხელ გურიის მადლი.
და დედაც თურმე ამაყობს შენით,
გაქვს განცდის სიღრმე გარემოს კარად
ულაულადება ლოყები მკრთალი.—
გარემოცულხარ წიგნების ჯარით
და პროფესორთა ლექციებს ისმენ.
ისმენ და ხარობ. ძალა ხარ მართლა.
მოდი ამ გულის სწორობაც სცადე.
ეს ღამე წავა, წავა და რა ვთქვა...
კიდევ გნახავდე. ნეტავი, სადმე!
კაცს დააფიქრებ.—მოყვები ვაგონს,
ვიცი გატყდება ამაღამ ძილი.
ღამე ვრცელია, იმღერე, კარგო,
დედა ქალაქში ვიქნებით დილით.

ბიბლიოგრაფია

კ. ბობოხიძე—„ლექსების ლაშქრობა" სახელგამი 1933 წ:

დიდი ისტორიული ეპოქებისათვის დამახასიათებელია სრული გარდაქმნა მატერიალურ და გონებრივი კულტურის ყველა ფორმის. მე-17 პარტკონფერენციის დადგენილებაში ნათქვამია, რომ კაპიტალიზმის ნაშთები უნდა აღმოიფხვრას როგორც ეკონომიკიდან, ისე ადამიანის შეგნებიდან.

ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხი საბჭოთა სინამდვილეში მოითხოვს სერიოზულ მეცნიერულ ანალიზს. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელოვნება გართობის და ჭვრეტის საგანია, ჩვენში, საბჭოთა რესპუბლიკების სინამდვილეში, ხელოვნება, ლიტერატურა უძლიერესი იარაღია მშრომელი მასების კომუნისტური აღზრდისათვის.

არც ერთ ქვეყანაში არ აქვს ხელოვნებას ისეთი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როგორც ჩვენში. ამიტომ ხელოვნების ფორმის ლიტერატურის ჟანრების საკითხი ჩვენს სინამდვილეში არ არის განყენებული ესთეტიური საკითხი. იგი სოციალური, პოლიტიკური საკითხია, რაიც ითხოვს დაკვირვებას, საქმეში ჩახედვას და სოციალისტური კულტურის მიზნებთან მხატვრული საქმიანობის შეფარდებას.

სოციალისტური კულტურის შეგნების პროცესში წამოიჭრა მრავალი ახალი საკითხი, სოციალისტური რეალიზმისა და რევოლიუციური რომანტიზმის ლოზუნგი, დრამატურგიის განვითარების ახალი გზები, ლირიკის ბედი და სხვ.

ჩვენ შევაჩერებთ ამჟამად ყურადღებას ლირიკის მნიშვნელობაზე ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ჩვენ არ გვაინტერესებს ძველი საკითხი—რომელი უფრო ადრე წარმოიშვა—ლირიკა თუ ეპოსი? ჩვენ გვაინტერესებს ლირიკის ადგილის გამონახვა სოციალისტური კულტურის პროცესში და რამოდენიმე მაგალითის ცხადყოფა ქართულ სინამდვილიდან. ჩვენში ხშირად ისმის ნათქვამი—ლირიკა მოკვდა, ლირიკა საჭირო აღარ არის და სხვ. ასეთ უმართებულო და უსაფუძვლო შეხედულებებს ჩვენ სინამდვილეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

ყოველ დიდ სოციალურ მოძრაობას აქვს თავისი ლირიკული განწყობილება. ლირიკის არსებობა განიზომება სოციალური ფორმულის მოძრაობით: ფეოდალური კულტურის ლირიკა გამოხატავდა ფეოდალების, რაინდებისა, გულის დამებისა და მათი ყოფაცხოვრების შინაარსს. ბურჟუაზიულ — ქალაქური კულტურა იწვევს რა სოციალური მოძრაობის თავისებურობასა და ინტენსივობას, ასხვაფერებს ლირიკას: ტრუბადურებისა და ძმუღების პოეზიას—ანრი დე მარიეისა და უდრის—ფონლისტენ შტეინის ლირიკას ცვლის პოეზია დიდი ქალაქების კაფე—რესტორანებისა და დეკოლტე გაკეთებული დემუაზელების — ლირიკა ბოდლერისა და ვერლენის.

საქართველოში ბურჟუაზიულ—ქალაქური პოეზია განვითარდა სასტუმროებსა და სამიკიტნოებში და იღებს განსაკუთრებით ტოლუმბაშურ ხასიათს. მას არ ჰქონებია ძლიერი სოციალური განცდა, მას არ წამოუყენებია სერიოზული ლიტერატურული პრობლემა. მსუბუქი იყო მისი არსებობა, მსუბუქი და უცრემლო იყო მისი გადაშენება. სოციალისტური კულტურის გამლამ ბოლო მოუღო ქართული ინდივიდუალიზმის კაფე-რესტორანულ და ყარაჩოღულ პოეზიას:

წარმოიშვა ლირიკა სოციალისტური მშენებლის—ლირიკული განცდა ახალი ადამიანის, რომელიც გარშემორტყმულია ინდუსტრიის გიგანტებით.

ჩვენს წინ დევს წიგნაკი—„ლექსების ლაშქრობა", **კალე ბობოხიძე,** გამოცემა სახელგამის: მთლიანად ეს ლექსთა კრებული, მიუხედავად დეფექტებისა, მაჩვენებელია იმის, რომ სოციალისტური კულტურის პროცესში წამოიზარდა ახალი თაობა, რომელსაც აქვს ახალი სოფლმხედველობა, ახალი განცდები. მას სხვანაირად უყვარს გაზაფხული, ბუნება, საშობლო ქალაქი, მისთვის ცხოვრება გამოიყურება თავისებური გამოხედვით, მისთვის ბუნება ძვირფასია, მაგრამ ის არ უყურებს ბუნებას იმ გულაჩუყებით და ყალბი არისტოკრატიული სინაზით, რომელთაც ატარებდენ ძველი პოეტები, ძველი ქვეყნის და კულტურის ტრუბადურები.

„ჩვენთვის ბუნება ძვირფასია სხვადასხვა ამხარის,
არაფრად გვიღირს—ნიადაგი, სადაც მწირია,
მტერი ვართ გვალვის,—ჭაობების,
ზვავის და ღვარის,
ლანქერთან ბრძოლით თავიც, წმინდად
გაგვიწირია".

პოეტი ბრძოლის სურვილითაა ანთებული, მისთვის ბუნება სატრფო და იდეალური მეგობარი კი არ არის, არამედ „ადამიანთა ყოფის მასალა"—არენა შემოქმედების, მშენებლობის.

გაზაფხულიც პოეტს ხიბლავს არა „მწვანე ფარჩებით", არა ბულბულის სტვენით და გაშლილი ვარდით, მზის სხივთა ციალით, ფოთლების მისტიური რხევით, არამედ როგორც „მებრძოლი გულების მღელვარება" ბრძოლის ტიტანიური სურვილების გამოვლენა.

„უტყვო ბუნებავ, ვერ მიმიმყრობ
ლხენით, ნაღველით,
სხვანაირია გაზაფხული მე რომ მამღერებს".

მიუხედავად სტილისტიური დეფექტებისა, კალე ბობოხიძე საკმაოდ ძლიერია როგორც ლირიკოსი და ეს გამოიხატება იმაში, რომ ის მსოფლმხედველობრივადაც გამართულია: კითხულობთ მის ლექსთა კრებულს და ნათლად ამჩნევთ, რომ მოვლენები პოეტის გაგებაში მოცემულია სოციალისტური კულტურის ასპექტით.

კ. პაპანელი.

წიგნების სია,

რომელსაც სცემს გამომცემლობა „ფედერაცია"

1. **შოთა რუსთაველი**—„ვეფხის ტყაოსანი", კ. ჭიჭინაძის რედაქტორობით და მხ. ლ. გუდიაშვილის ილიუსტრაციით თვით „ვეფხვის ტყაოსანის" ტექსტი უკვე მთლიანად დაბეჭდილია.
2. **ივ. ჯავახიშვილი** — საქართველოს ეკონომიური ისტორია, მე-2 ტომი. დაბეჭდილია 17 ფორმა და მალე მოთავდება.
3. **დ. კლდიაშვილი**—თხზულებათა პირველი ტომი. იბეჭდება უკვე.
4. **იაკინთე ლისაშვილი.** მოთხრობა „ვარდნილი". დაბეჭდილია და მალე გამოვა.
5. **ხუთწლედის-გმირი ქართულ ლიტერატურაში**—დებეჭდილია და მალე გამოვა.
6. **დ. ბენაშვილი**—ფედერალიზმის წინააღმდეგ დაბეჭდილია და მალე გამოვა.
7. **ს. ეული**—პოემები. დაბეჭდილია და მალე გამოვა.
8. **იონა ვაკელი.** ლექსები. დაბეჭდილია და მალე გამოვა.
9. **ი. მჭედლიშვილი** „ჯვარცმული ლეგენდა" (პიესა), დაბეჭდილა და მალე გამოვა.
10. **პ. ჩხიკვაძე**—„ნაბიჯები" (რომანი) იბეჭდება. დასურათებული.
11. **გ. ლეონიძე**—„ბესიკი და მისი დრო". იბეჭდება.
12. **კალისტრატე ფირცხალაიშვილი** — „უცნაური ერიამული" (პოემა) —დაბეჭდილია და მალე გამოვა.
13. **დ. სულიაშვილი**—„კედელი". იბეჭდება.
14. **ნ. ლორთქიფანიძე**—თხზულებათა პირველი ტომი. იბეჭდება.
16 **შ. რადიანი**—კრიტიული წერილები. იბეჭდება.

სტამბებში გადაცემულია და იწყობა:

1. **არქანჯელო ლომბერტი.** სამეგრელოს აღწერა. დასურათებული.
2. **სპარსული კლასიკური პოეზია.** თარ. ქელიძის, მხატვარი ლ. გუდიაშვილი.
3. **უიარაღო**—მამელუკები.
4. **რაჟდენ გვეტაძე**—ჰიაკონა.
5. **ლაზარილიო ტორმასელის ცხოვრება.**
6. **ა. ყაზბეგის პირველი ტომი.** რედაქტორები: ს. ხუნდაძე და ვ. კოტეტიშვილი.
7. **ა. ყაზბეგი**—ელგუჯა, აკადემიური გამოცემა. რედაქტორი ვ. კოტეტიშვილი.
8. **ვ. ბარნოვი**—მოთხრობები.
9. **ს. თალაკვაძე**—„გადასასვლელი".
10. **ლეო ქიაჩელი**—ტარიელ გოლუა.
11. **გ. შატბერაშვილი**—ლექსები.
12. **ფრ. ნაროუშვილი**—ლექსები.
13. **უცხოეთის რევოლუციონური პოეტები.**
14. **ლ. ასათიანი.**
15. **დემნა შენგელაია**—მოთხრობების პირველი ტომი.
16. **ტ. ტაბიძე**—თარგმნილი ლექსები.
17. **იონა მეუნარგია**—თ. დავით დადიანი და მისი დრო.
18. **ნ. ზომლეთელი**—მოთხრობები.
19. **ნ. მიწიშვილი**—ეპოპეია. (შესწორებული გამოცემა).

გამოვიდა და იყიდება:

1. **გ. ბუხნიკაშვილი**—11 პიესა.
2. **კ. კალაძე**—უჩარდიონი.
3. **ნ. ნიკოლაძე**—მე-2 ტომი.
4. **ე. ნინოშვილი**—მე-2 ტომი.
5. **ა. გომიაშვილი**—ლექსები.
6. **ე. პოლუმორდვინოვი**—„შაშილარ"—მოთხრობები.
7. **ს. ჩიქოვანი**—ლექსები.
8. **ტ. ტაბიძე**—ლექსები.
9. **კ. გამსახურდია**—უკრაინის თემიდი.
10. **შ. რადიანი**—ლიტერატურული სილუეტები.
11. **გ. ბაზოვი**—„მუნჯები ალაპარაკდენ".

სარედაქციო კოლეგია: დ. დემეტრაძე (პ.-მგ. რედაქტორი), რ: გვეტაძე (პ:-მგ: მდივანი), ბ: ჟღენტი, ს; თალაკვაძე, შ: დუდუჩავა; ნ: მიწიშვილი; ნ: ზომლეთელი; და ლ: ქიაჩელი:

სტამბა „კომუნისტი", კამოს 68 მთავლიტი 1225, გამომცემლობა „ფედერაცია".